სავარაუდოდ
პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების
სასამართლო პროცესების მონიტორინგი

(შემაჯამებელი ანგარიში)

2023

ადამიანის უფლებათა ცენტრი

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი

(შემაჯამებელი ანგარიში)

ავტორი: გია ჩხაიძე

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ანა ჯაბაური

მონიტორები: კარლო შერაზადიშვილი, თამარ ქურთაული

2023

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: http://www.humanrights.ge
ვებ-საიტი: hrc.ge

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

I. შესავალი 6
II. მეთოდოლოგია 7
III. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები 8
1. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე 8
2. ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე 10
3. ბესიკ თამლიანის საქმე 11
4. ნიკა გვარამიას საქმე 12
5. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე 13
6. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმე 14
7. მიხეილ სააკაშვილის ე. წ. საზღვრის კვეთის საქმე 15
8. ელგუჯა ცომაიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების საქმე 17
9. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე 18
10. აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმე 20
11. ნიკანორ მელიას საქმე 22
12. გიორგი უგულავას და ალექსანდრე გოგოხიას საქმე 23
13. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე 24
14. ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის საქმე 25
15. კობა კოშაძის საქმე 26
16. მეგის ქარდავას საქმე 26
17. გიორგი მუმლაძის საქმე 27
18. გიორგი რურუას საქმე 29
19. კახა კალაძე ჟურნალისტ მაია მამულაშვილის და ტვ „პირველის“ წინააღმდეგ 29
20. GMI Rights Management ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ 31
21. მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების საქმე 32
22. ჯელალ ქიქავას საქმე 34
23. კახა კუკავას საქმე 35

24. ლევან ხაბეიშვილის საქმე 36
25. დავით კეზერაშვილის საქმე 36
26. ზვიად კუპრავას საქმე 38
27. ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის საქმე 38
28. გიორგი მუმლაძის საქმე (ადმინისტრაციული) 40
29. ნადიმ ხმალაძის საქმე 41
30. კოკა კობალაძის საქმე 43
31. ნატა ფერაძის საქმე 44
32. შუშანა მაცაბერიძისა და თამარ ხუნდაძის საქმე 45
IV. ბრალდებულის უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე 46
V. მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის გამოყენება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე 48
VI. სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა სამოქალაქო საქმეების განხილვის ვადის დაცვასთან დაკავშირებით 51
VII. დასკვნა 52
VIII. რეკომენდაციები 53

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 25 ივნისის ჩათვლით სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო სამართლის საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად, დააგროვა მნიშვნელოვანი, მოცულობითი ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა მონიტორინგის განმავლობაში სისხლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული ტენდენციების შეფასება, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ, გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე დარღვევების იდენტიფიცირება და ანალიზი. ანგარიშში წარმოჩენილია ის საკითხები, რითაც განპირობებული იყო სასამართლო მონიტორინგის დაწყების აუცილებლობა. ასევე, გაანალიზებულია ის ხარვეზები, რაც გამოვლინდა მონიტორინგის დროს სისხლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას.

2021 წლის მსგავსად, კვლავ აქტუალურია სამართლიანი სასამართლოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები. ამასთან, 2022 წლიდან იმატა პოლიტიკური პარტიების ლიდერების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულმა სასამართლო პროცესებმა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეებს საერთო სასამართლოებში აკვირდება პროექტის - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგის“ ფარგლებში. 2020 წელს დაწყებული სასამართლო პროცესებისა და საპროტესტო აქციების მონიტორინგის პროექტი* 2021 წლის 1 თებერვლიდან კვლავ გაგრძელდა და 30 დეკემბერს დასრულდა.**2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 25 ივნისამდე პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორები დააკვირდნენ 21 სისხლის სამართლის, 3 სამოქალაქო სამართლის, 7 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის და სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებული 1 შუამდგომლობის განხილვას.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის სასამართლო მონიტორები ჯამში დააკვირდნენ 157 სასამართლო სხდომას. 32 საქმიდან, ნაწილი დასრულებულია, ნაწილი კი პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს. ამასთანავე, რიგი გადაწყვეტილებები თბილისის სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული.

მონიტორინგის შედეგები და მნიშვნელოვანი მიგნებები გამოქვეყნებულია ანგარიშებსა და ანალიტიკურ დოკუმენტებში, რომელთა გაცნობა შესაძლებელია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე - www.hrc.ge, ანგარიშების და კვლევების განყოფილებებში.

2. მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი განხორციელდა ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება, შესაძლო ხარვეზების გამოვლენა და ანალიზი.

2022-2023 წლის განმავლობაში სასამართლო პროცესებს აკვირდებოდა 2 სასამართლო მონიტორი, რომლებმაც სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ სპეციალური ტრენინგი გაიარეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია მოიცავდა კონკრეტულად სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესებისთვის მომზადებული სპეციალური კითხვარით მუშაობას. სასამართლო იურისტ/მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამზადებდნენ ანგარიშებს, რომელშიც აღწერდნენ სასამართლო სხდომების დეტალებს. მონიტორების მიერ მიწოდებული ანგარიშების გაცნობისა და გააანალიზების შემდეგ, იურისტ-ანალიტიკოსი დამუშავებულ ინფორმაციის იყენებდა ანალიტიკური დოკუმენტების და საჯარო ანგარიშების მომზადებისთვის.[***]

წინამდებარე ანგარიში, ასევე, ეყრდნობა მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეების შესახებ გამოქვეყნებულ სხვადასხვა დოკუმენტს და კვლევისას გამოვლენილ მიგნებებს. ამასთან, კვლევის პროცესში დამატებით შესწავლილია დაცვისა და ბრალდების მხარეების შუამდგომლობები, სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები და გადაწყვეტილებები.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობას, სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. ამავე დროს, მონიტორინგის პარალელურად, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული, გახმაურებული პროცესებისადმი საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდიდა მნიშვნელოვან ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

[***] შენიშვნა: 2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 25 ივნისამდე პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა 4 ანალიტიკური დოკუმენტი: 1) პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე – მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი მოვლენების ანალიზი (2022), ხელმისაწვდომია: https://rb.gy/2pia [15.06.2023]. 2) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე გამოყენებული შეწყალების და ამნისტიის აქტები (სამართლებრივი ანალიზი), ხელმისაწვდომია: https://rb.gy/nj38p [12.06.2023]; 3) ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის ტენდენცია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენების კვალდაკვალ, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/z3hm1 [12.06.2023]; 4) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ujm7r [26.06.2023].

3. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 25 ივნისამდე პერიოდში (შემდგომში - „მონიტორინგის საანგარიშო პერიოდი“), ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორები დააკვირდნენ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 32 საქმის სასამართლო პროცესს, მათ შორის იყო: **21 სისხლის სამართლის, 3 სამოქალაქო სამართლის და 7 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე; აგრეთვე, სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებული 1 შუამდგომლობის განხილვა.**

საანგარიშო პერიოდში, ორგანიზაციის სასამართლო მონიტორები ჯამში დააკვირდნენ 157 სასამართლო სხდომას.

1. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსის, ივერი მელაშვილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდეგში - შსს) სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი მთავარი ინსპექტორის, ნატალია ილიჩოვას სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში სსკ.) 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. ბრალდებულებს 2020 წლის 8 ოქტომბრიდან 2021 წლის 28 იანვრამდე პერიოდში, აღვეთის ღონისძიების სახით, შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა. 2021 წლის 28 იანვარს, პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსამართლე ლელა კალიჩენკომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20000-20000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ივერი მელაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. გირაოს თანხის შესაგროვებლად, სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიამ“ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა, რის შედეგადაც, გათავისუფლებულების დასახმარებლად წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, მოქალაქეების მიერ, 2 საათში გირაოს თანხა – 40 000 ლარი სრულად შეგროვდა. საქმე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში. ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 2020 წლის 7 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დააკავეს.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 14 სასამართლო სხდომა.

მოწმის სახით, ძირითადად, იკითხებიან დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის ყოფილი წევრები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომები აქტიურად ინიშნება, ბრალდების მხარეს ჯერ არ დაუსრულებია ყველა მოწმის გამოკითხვა. სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქმეზე დაკითხული

ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებები ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებენ ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალეულობას, კერძოდ - იმას, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ბრალდებულების ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი. მოწმეები მხოლოდ იმას აცხადებდნენ, რომ ივერი მელაშვილი იყო კომისიის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი და ამ მიმართულებით ყველაზე მეტი კომპეტენცია მას ჰქონდა, მაგრამ ვერ ასახელებენ, თუ უშუალოდ რაში გამოიხატებოდა მისი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედება.[1] ამავდროულად, სასამართლოში დაკითხული მოწმეთა ნაწილი ადასტურებდა, რომ ივერი მელაშვილი კომისიის მუშაობის დროს ყოველთვის მტკიცედ იცავდა ქვეყნის პოზიციებს და ამ საკითხისადმი მას პრინციპული პოზიცია ჰქონდა.[2]

ამასთან, მხარეების მიერ მოწმისათვის უშუალოდ რუკებთან და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს, მათ შორის - აღნიშვნებთან, საზღვრის გავლის ხაზთან დაკავშირებით და სხვა, მოწმეები პასუხობდნენ, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია ან არ შეეძლოთ რუკის წაკითხვა. გარდა ამისა, ერთ-ერთი მოწმის მიერ ხელმოწერილი ოქმის შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხად, ამავე მოწმემ განაცხადა, რომ არ ახსოვდა რა იყო კონკრეტული ოქმის შინაარსი, რადგანაც მას შემდეგ დიდი დრო იყო გასული და რომ იგი კომისიის სხდომებში მხოლოდ ფორმალურად იღებდა მონაწილეობას.[3]

საქმის განხილვისას მოსამართლის ჩართულობა მინიმალური იყო. იგი მოწმეების გამოკითხვაში თუ, ზოგადად, მტკიცებულებების გამოკვლევაში, ფაქტობრივად, არ მონაწილეობდა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგად ისიც გამოიკვეთა, რომ დაცვის მხარეს უშუალოდ პროცესის დაწყებამდე არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ ვის კითხავდა მოწმის სახით ბრალდების მხარე.

საანგარიშო პერიოდში, ამ სხდომების დაკვირვების შედეგად არ გამოკვეთილა არსებითი პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევები. დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად დაეყენებინათ შუამდგომლობები და გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე. შესაბამისად, პროცესის მიმდინარეობისას მხარეებს ეძლეოდათ პროცესუალური უფლებების სრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობა.

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

---

[1] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში - ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე: 24.02.2023.

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში - ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე: 24.01.2023.

[3] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში - ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე: 28.11.2022.

2. ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე

2023 წლის 26 აპრილს დასრულდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, სტეფანე გიქოშვილის, ლაშა სამხარაძის და კახაბერ ქეშიკაშვილის მიმართ. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა ბესიკ თამლიანთან, ემზარ სიუკაევთან და ლაშა სამხარაძესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ. შეთანხმების საფუძველზე, ბრალდებულები აღიარებდნენ 2021 წლის 29 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს წინ მიმდინარე აქციის დროს სამართალდამცავებისათვის წინააღმდეგობის გაწევას ძალადობით (სსკ-ს 353–ე მუხლის პირველი ნაწილი).

მოსამართლის შეკითხვაზე, აცნობიერებდნენ თუ არა ბრალდებულები საპროცესო შეთანხმების შინაარსს და ეთანხმებოდნენ თუ არა მას, ბრალდებულმა ბესიკ თამლიანმა განაცხადა, რომ ოჯახური მდგომარეობა (დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა) მას იძულებულს ხდიდა, დასთანხმებოდა საპროცესო შეთანხმებას, მაგრამ შინაგანად არ აღიარებდა დანაშაულის ჩადენას.[4] პროცესზე მოსამართლემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება. შესაბამისად, ბრალდებულებს განმეორებით ჰკითხა, იყვნენ თუ არა თანახმა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, რაზედაც ბრალდებულებმა თანხმობა განაცხადეს. შედეგად, სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ბესიკ თამლიანი, ემზარ სიუკაევი და ლაშა სამხარაძე დამნაშავედ იქნენ ცნობილნი სსკ-ს 353–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომელიც ჩაეთვალათ პირობითად. ამასთან, მათ განესაზღვრათ გამოსაცდელი ვადა და ყოველთვიური აღრიცხვის ვალდებულება პრობაციის ბიუროში.

რაც შეეხება ამ საქმეში ბრალდებულ სხვა პირებს - კახაბერ ქეშიკაშვილს და სტეფანე გიქოშვილს, ისინი არ დათანხმდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ბრალდების მხარე თავის დასკვნით სიტყვაში მოითხოვდა, ეს ორი ბრალდებული სასამართლოს დამნაშავედ ეცნო სსკ-ს 353–ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (სამართალდამცველზე თავდასხმა). სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ეს მოთხოვნა და ბრალი 353–ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილიდან (სამართალდამცველზე თავდასხმა) გადააკვალიფიცირა 353-ე მუხლის პირველი ნაწილზე (სამართალდამცველზე ძალადობა/მუქარა), ვინაიდან სასამართლოს შეფასებით, წარდგენილი მტკიცებულებებით არ გამოიკვეთა პოლიციელზე თავდასხმის დანაშაულის შემადგენლობა. სასამართლომ ამ ორ ბრალდებულს სასჯელის სახით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. თუმცა, დანიშნული სასჯელი ჩაითვალა პირობითად და, განესაზღვრათ გამოსაცდელი ვადა პრობაციის ბიუროში ყოველთვიურ აღრიცხვის ვალდებულებასთან ერთად.

სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები:

[4] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმეზე: 26.04.2023.

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 20 სასამართლო სხდომა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სხვა საქმეებისგან განსხვავებით, ამ საქმის განმხილველი მოსამართლე ჩართული იყო დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში და გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მან დაცვის მხარის მოწმის ჩვენება მიიჩნია არასანდოდ. მაგალითად, 2022 წლის 12 ოქტომბერს გამართულ პროცესზე დაკითხულმა ერთ-ერთმა მოწმემ თავის ჩვენებაში განმარტა, რომ 2021 წლის 29 ნოემბერს სასამართლოს წინ შეკრებილი მოქალაქეები მშვიდობიანად აპროტესტებდნენ საქართველოს მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესს, მდგომარეობის ესკალაცია კი მოჰყვა პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან ტელევიზიების ოპერატორების სასამართლოს გვერდით არსებული ბეტონის ღობიდან ,,ჩამოყრას". რა დროსაც, ერთ-ერთი ოპერატორი დაშავდა. პოლიცია ხალხს არ აძლევდა დაშავებულ ოპერატორთან მიახლოების შესაძლებლობას, რამაც წარმოქმნა დაძაბულობა. მიუხედავად იმისა, რომ მოწმის ამ ჩვენების სანდოობა ბრალდების მხარეს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ მოწმის ჩვენება შეიცავდა არაერთ უზუსტობას.[5] აგრეთვე, 2022 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე, მოსამართლე ასევე აქტიურად იყო ჩართული დაცვის მხარის მოწმის გამოკითხვის პროცესში.[6]

მონიტორინგის შედეგად, ასევე, გამოიკვეთა, რომ მოსამართლემ გამოავლინა ინდიფერენტული დამოკიდებულება დაცვის მხარის ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევის დროს. უფრო ზუსტად, მას შემდეგ, რაც სასამართლოს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი, აქციაზე განვითარებული მოვლენების ამსახველი ვიდეომტკიცებულებები გამოიკვლია, თითქოს აღარ შეიმჩნეოდა სასამართლოს ინტერესი დაცვის მხარის ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევის მიმართ. მეტიც, მოსამართლის რეპლიკის გათვალისწინებით - ,,ყველამ უკვე ვნახეთ, რაც არის ასახული ამ კადრებში", შეიქმნა ისეთი განცდა, რომ სასამართლო ფორმალურად უდგებოდა დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევას.[7] მართალია, ორივე მხარის მიერ წარდგენილი ვიდეომასალების შინაარსი ძირითადად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ განსხვავდება ბრალდების და დაცვის მხარის სამართლებრივი პოზიცია ვიდეომასალაში დაფიქსირებულ მოვლენებთან მიმართებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი პოლიციელთა სამხრე კამერების ჩანაწერები. შესაბამისად, საქმის სრულყოფილად გამოსაკვლევად, მნიშვნელოვანია, მსგავს შემთხვევებში, სასამართლომ თანაბარი ყურადღება დაუთმოს ორივე მხარის მტკიცებულებების გამოკვლევას.[8]

3. ბესიკ თამლიანის საქმე

2019 წლის 20 ივნისის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებულ საქმეზე ბესიკ თამლიანს ბრალად წარდგენილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-

[5] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმეზე: 12.10.2022.
[6] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმეზე: 10.11.2022.
[7] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმეზე: 12.10.2022.
[8] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმეზე: 26.10.2022.

2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. საქმეზე პროკურატურასა და სხვა ბრალდებულებს - ზურაბ ბუდაღაშვილს, ცოტნე სოსელიასა და კახაბერ კუპრეიშვილს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება. ბესიკ თამლიანი არ თანხმდებოდა 2021 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით მიღებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენებას და აგრძელებდა საკუთარი უფლებების დაცვას.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, საქმეზე ჩატარდა 5 სასამართლო სხდომა.

2023 წლის 8 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ ბესიკ თამლიანი საბოლოოდ დათანხმდა 2021 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით მიღებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენება. ბესიკ თამლიანმა პროცესზე განაცხადა, რომ მისი ეს გადაწყვეტილება ოჯახურმა მდგომარეობამ (დედის ჯანმრთელობის პრობლემა) განაპირობა და მხოლოდ მისი ნება რომ იყოს, სიმართლის დასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებდა, მაგრამ ახლა სხვა ადამიანები იყვნენ მასზე დამოკიდებული და მათ ვერ უღალატებდა.[9] მოსამართლემ, ამ ნაწილში ბრალდებულს განუმარტა უფლებები და სთხოვა, მოეხსენებინა სასამართლოსთვის ხომ არ ყოფილა მასზე ზეწოლა გადაწყვეტილების მიღების დროს. ბრალდებულმა განაცხადა, რომ ის თავისი ნებით დათანხმდა „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენებას.[10]

საქმის განხილვა დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმეს არსებითად იხილავდა მოსამართლე ზვიად შარაძე.

ამ სხდომების დაკვირვების შედეგად არ გამოკვეთილა არსებითი პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევები. დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად დაეყენებინათ შუამდგომლობები და გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე. შესაბამისად, პროცესის მიმდინარეობისას მხარეებს ეძლეოდათ პროცესუალური უფლებების სრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობა.

4. ნიკა გვარამიას საქმე

„მთავარი არხის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალი ედება სსკ-ის 220-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან

[9] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის საქმეზე: 08.05.2023.

[10] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის საქმეზე: 08.05.2023.

სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. 2022 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საქმეს იხილავდა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სააპელაციო სასამართლოში საქმეზე ჩატარდა 6 სხდომა.

2022 წლის 2 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა მერაბ ჯორბენაძემ, ლავრენტი მაღლაკელიძემ და დავით მამისეიშვილმა „რუსთავი 2"-ის ყოფილი დირექტორისა და „მთავარი არხის" დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს. ნიკა გვარამია დამნაშავედ ცნეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში (ორი ეპიზოდი - ე.წ. რეკლამის გაყიდვის საქმე და ე.წ. ავტომანქანის საქმე). საბოლოო სასჯელის სახედ მას 3 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა[11].

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2023 წლის 19 ივნისს, უზენაესმა სასამართლომ როგორც დაცვის მხარის, ისე ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად ცნო, რითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დარჩა ძალაში.[12]

2023 წლის 22 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია შეიწყალა.[13]

ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი: [ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება (2020).](#)[14]

5. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე

საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და სახელმწიფო დაცვის ყოფილ უფროსს, თეიმურაზ ჯანაშიას ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით (8 837 461 ლარი)

[11] სააპელაციო სასამართლოს განაჩენთან დაკავშირებით დეტალურად იხ., სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე პატიმრობაში დატოვა, ადამიანის უფლებათა ცენტრის 02.11.2022 წლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/jwa2y [13.06.2023].

[12] უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამიას საქმეზე სააპელაციოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და საჩივარი დაუშვებლად ცნო, ინტერპრესნიუსი, https://rb.gy/8v79l, [26.06.2023].

[13] პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა, რადიო თავისუფლება, https://rb.gy/r49qc, [26.06.2023].

[14] ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება (2020), ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/n7k0j [14.06.2023].

გაფლანგვას. პროკურატურის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილსა და თეიმურაზ ჯანაშიას შორის უკვე არსებული შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირებისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი განიხილავს.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, სისხლის სამართლის ამ საქმეზე ჩატარდა 5 სასამართლო სხდომა. ამავე დროს, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველა ეს სხდომა გადაიდო.

6. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმე

მიხეილ სააკაშვილის და ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც გაერთიანებულია 2007 წლის 7 ნოემბრის მომიტინგეთა მასობრივი დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და მისი „ხელში ჩაგდების“, პატარკაციშვილების ოჯახისთვის მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდებში წარდგენილი ბრალდებები. საქმეს, სირთულიდან გამომდინარე, იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, რომელსაც თავმჯდომარეობს მოსამართლე ნინო ელეიშვილი. საქმის განხილვა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა. ერთი წლის განმავლობაში პროცესი რამდენჯერმე გადაიდო მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 9 სასამართლო სხდომა.

ამ საქმის განხილვა, კლინიკა „ვივა მედიდან“ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ძირითადად, სხვა დროისათვის ინიშნებოდა[15]. ასევე, სასამართლო სხდომაზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილ ოქმში აღნიშნული იყო, რომ სააკაშვილს შესთავაზეს სასამართლოზე გამოცხადება ან დისტანციურად ჩართვა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ის უარს აცხადებდა სხდომაში მონაწილეობაზე და ამასთან, არ იყო თანახმა მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელებულიყო საქმის განხილვა. ამავე ოქმში მითითებული იყო

[15] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 18.07.2022; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 14.09.2022; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 25.01.2023.

ისიც, რომ სააკაშვილის მკურნალი ექიმი მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა, მომხდარიყო მისი სასამართლოში ტრანსპორტირება სხდომაზე დასწრების მიზნით.[16]

2022 წლის 18 ივლისის, 14 სექტემბრის, 9 ნოემბრის, 22 დეკემბრის, 15 თებერვლის და 22 მარტის, 5 მაისის სხდომებზე, სასამართლომ იმსჯელა დავით კეზერაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გადახედვის საკითხზე.[17] სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და განმარტა, რომ არ შეცვლილა ის ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები, რომლებიც საფუძვლად დაედო ბრალდებულთა მიმართ პატიმრობის გამოყენებას. აგრეთვე, არ არსებობდა რაიმე ახალი გარემოება, რაც შეცვლიდა უკვე გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას. შედეგად, სასამართლომ ძალაში დატოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა.[18]

აღსანიშნავია, რომ სხვა ბრალდებულები არც ერთ სხდომას არ ესწრებოდნენ.

2021-2022 წლების სასამართლო მონიტორინგის შედეგები ასახულია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიშებში.[19]

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

7. მიხეილ სააკაშვილის ე. წ. საზღვრის კვეთის საქმე

საქართველოს მესამე პრეზიდენტს პროკურატურამ ბრალი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარუდგინა. პროკურატურის განცხადებით, გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ 2021 წლის 28 სექტემბერს უკრაინიდან, კერძოდ - ჩერნომორსკის პორტიდან ფოთის ნავსადგურში შევიდა გემი, სახელწოდებით „ვილნიუსი“. ამ გემიდან 29

[16] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 15.02.2023.

[17] 2021 წლის 10 ნოემბერს, ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა გაუქმდა, იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 28, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r2q8 [25.04.2023];

[18] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 18.07.2022; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 14.09.2022; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 09.11.2022; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 22.12.2022; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 15.02.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 22.03.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას საქმეზე: 05.05.2023.

[19] სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (2022 წ. აპრილი-ივნისი), ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 12-13, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/sknw [25.04.2023]; სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (2022), ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 27-28, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/udcm [25.04.2023].

სექტემბერს ჩამოვიდა შპს IKA TRANS-ის საკუთრებაში არსებული SCANIA-ს ფირმის მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალება - ტრაილერი, რომელიც დატვირთული იყო რძის პროდუქტებით. ტრაილერში იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით, ელგუჯა ცომაიას დახმარებით, გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება. ამ დროისთვის მხარეთა მტკიცებულებები სრულადაა გამოკვლეული. ბრალდებულს სურს ჩვენების მიცემა საქმესთან დაკავშირებით, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დღემდე ვერ მოხერდა. საქმის განსახილველად, 2022 წლის აპრილის ბოლოდან სასამართლო სხდომები სისტემატურად, კვირაში ერთხელ ინიშნებოდა. მაგრამ, 2022 წლის დეკემბერის დასაწყისში მოსამართლე შვებულებაში გავიდა, რის შემდეგაც სასამართლო პროცესის მომდევნო სხდომის თარიღი უცნობია.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, საქმეზე ჩატარდა 13 სასამართლო სხდომა.

საანგარიშო პერიოდში, საქმის არსებითი განხილვის სხდომები მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა დროისათვის ინიშნებოდა, კლინიკა „ვივა მედიდან“ წარმოდგენილი ცნობის გათვალისწინებით და სპეციალური პენიტენციური დაწესებულებიდან წარმოდგენილი ოქმის საფუძველზე.

2022 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმის განხილვის 1 თვის ვადით გადადების თხოვნით, რადგან მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა და საჭირო იყო დალოდებოდნენ ექსპერტების დასკვნას. მოსამართლემ ამ შუამდგომლობის განხილვისას აღნიშნა, რომ საჭირო არ იყო საქმის განხილვის 1 თვით გადადება, რადგან ის საქმის განხილვას ყველა იმ შემთხვევაში გადადებდა, როდესაც კლინიკა ,,ვივამედიდან“ იქნებოდა ცნობა წარმოდგენილი.[20] სხდომის გონივრული ვადით გადადებასთან დაკავშირებით, იგივე შუამდგომლობა დააყენა დაცვის მხარემ 2022 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე. სასამართლომ ამჯერად ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმის განხილვა 2 კვირის ვადით გადადო.[21]

ე. წ. საზღვრის კვეთის საქმე არის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის მეხუთე საქმე. ორ საქმეზე მას უკვე თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი და სასჯელს იხდის.

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ორი ანალიტიკური დოკუმენტი: 1. პატიმრის უფლება ჯანდაცვაზე - მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის და თანმდევი

[20] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის - ე. წ. საზღვრის კვეთის საქმეზე: 19.10.2022.

[21] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის - ე. წ. საზღვრის კვეთის საქმეზე: 02.11.2022.

მოვლენების ანალიზი. 2022; 2. გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, 2021.

8. ელგუჯა ცომაიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების საქმე

ელგუჯა ცომაია, გიორგი ნარიმანიძე, ზურაბ და შალვა წოწორიები ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს და სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან ოთხ წლამდე ვადით. 2021 წლის 4 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ელგუჯა ცომაია პატიმრობაში დატოვა. სამართალდამცველებმა ელგუჯა ცომაია 1 ოქტომბერს იმის გამო დააკავეს, რომ მან ძებნილ სააკაშვილს საკუთარი ბინა დაუთმო. გამოძიების ინფორმაციით, ელგუჯა ცომაიამ იცოდა, რომ უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მან თავისი აქტიური მოქმედებით, 2021 წლის 30 სექტემბერს მას დასამალად და დროებით საცხოვრებლად გადასცა თავის მფლობელობაში არსებული ბინა თბილისში. გამოძიების მტკიცებით, 2021 წლის 29 სექტემბერს, მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის გადაკვეთის შემდგომ, ზურაბ და შალვა წოწორიებმა საკუთარი ავტომანქანით უზრუნველყვეს სააკაშვილის ტრანსპორტირება და დანიშნულების ადგილას - სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მიიყვანეს.

2021 წლის 5 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გელაშვილმა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მამა-შვილ წოწორიებს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გიორგი ნარიმანიძე, სატვირთოს მძღოლი, რომელიც მესამე პრეზიდენტის საქმეზე მეოთხე დაკავებულია, ბრალს არ აღიარებს. გამოძიების თანახმად, გიორგი ნარიმანიძე იმყოფებოდა იმ სატვირთო ავტომობილში, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი აბაშიდან თბილისში ჩამოვიდა; მან იცოდა, რა გზებით შემოვიდა პრეზიდენტი ქვეყანაში და ეს ინფორმაცია დამალა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს. თავდაპირველად, ამ საქმეზე ბრალდებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეები ცალ-ცალკე განიხილებოდა, მოგვიანებით კი, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ისინი ერთ საქმედ გაერთიანდა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

2022-2023 წლებში, მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, საქმეზე ჩატარდა 1 სასამართლო სხდომა - 2022 წლის 19 დეკემბერს.

საქმეს განიხილავდა მოსამართლე გიორგი კერატიშვილი, რომლის სააპელაციო სასამართლოში განმწესების შემდგომ, საქმე დაეწერა მოსამართლე ვალერიან ბუგიანაშვილს. შესაბამისად, მოსამართლის ცვლილების გათვალისწინებით, მოსამართლე ვალერიან ბუგიანაშვილს მხარეებთან უნდა დაეზუსტებინა თუ რა ეტაპიდან განეახლებინათ საქმის

წარმოება. აღსანიშნავია, რომ მხარეებმა უდავოდ ცნეს ერთმანეთის მტკიცებულებები და საქმე დასკვნითი სიტყვების ეტაპზე გადავიდა. პროკურორმა განმარტა, რომ მიმდინარეობდა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება ოთხივე ბრალდებულთან, მათივე ინიციატივის საფუძველზე. ამას დაეთანხმა დაცვის მხარე. მოსამართლემ მხარეებს აცნობა, რომ 1 თვით გადადებდა სხდომას, ხოლო მომდევნო სხდომაზე მათ უნდა ჰქონოდათ პასუხი მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და რა ეტაპიდან უნდა დაეწყო საქმის განხილვა სასამართლოს.[22] 2022 წლის 19 დეკემბრის შემდეგ ამ საქმეზე არ ჩატარებულა სასამართლო სხდომა.

9. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური ორგანიზაციის - „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები) ბრალი ედებათ სსკ-ს 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც განხორციელდა ჯგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV „პირველის“ მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარებას (სსკ-ს 25-194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

თბილისის საქალაქო სასამართლომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე განაჩენი 2022 წლის 12 იანვარს გამოაცხადა. სასამართლომ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრება) მუხლიდან თაღლითობის მუხლზე გადააკვალიფიცირა, ხოლო ავთანდილ წერეთლის ბრალდება ფულის გათეთრებაში მონაწილეობიდან – თაღლითობაში მონაწილეობაზე. თუმცა, 12 იანვარს გამოცხადებული განაჩენით, მოსამართლე გიორგი არევაძემ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის (თაღლითობა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით) და სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7-7 წლის ვადით. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხაზარაძე და ჯაფარიძე საპატიმრო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდნენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარემ.[23] ბრალდების მხარეს მიაჩნდა, რომ სახეზე იყო ფულის გათეთრების შემადგენლობა და მოსამართლემ არასწორად განმარტა შესაბამისი მუხლი დავის ფაქტობრივ გარემოებებთან და წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. შესაბამისად მოსამართლეს უნდა მიეღო გამამტყუნებელი განაჩენი იმ ქმედებისთვის, რომლის გამოც ბრალდებულებს წარედგინათ ბრალი. დაცვის მხარის პოზიციით, სახეზე არ იყო არც ფულის

[22] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ელგუჯა ცომაიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების საქმეზე: 19.12.2022.

[23] ამ საქმესთან დაკავშირებით, ვრცლად იხ., საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) მოსაზრება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/47n8b [14.06.2023].

გათეთრების და არც თაღლითობის ფაქტი, შესაბამისად, მოსამართლეს უნდა მიეღო გამამართლებელი განაჩენი. დაცვის მხარე მოითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღებას ყველა ბრალდებულის მიმართ.[24]

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც დასრულდა. საქმეს განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მერაბ ჯორბენაძის თავმჯდომარეობით. 2023 წლის 20 იანვარს პალატა განაჩენის გამოსაცხადებლად სათათბიროდ გავიდა და განაჩენი 26 იანვარს გამოაცხადა. სააპელაციო სასამართლომ მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი ჯგუფურ თაღლითობაში დამნაშავედ ცნო, რითაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 6 სასამართლო სხდომა.

სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, ბრალდების მხარე, საკუთარი მტკიცებულებების საფუძველზე მიუთითებდა, რომ ბრალდებულებებმა ჩაიდინეს ფულის გათეთრების კლასიკური დანაშაული. დაცვის მხარე კი ამტკიცებდა, რომ რომ ბრალდებულებს არ ჩაუდენიათ დანაშაული, არც ფულის გათეთრების და არც თაღლითობის ნაწილში, რადგანაც საქმეში არ არსებობდა არც დაზარალებული და არც მომჩივანი. დაცვის მხარე მსჯელობისას მიუთითებდა ბანკის საქმიანობის სტუქტურაზე აგრეთვე ფულის გათეთრების ნაწილში, მათ მტკიცებულებების სახით წარმოადგინეს, მათ შორის, თიბისი ბანკსა და ქართული კომპანიებს - „სამგორი M“ და „სამგორი თრეიდთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებები. დაცვის მხარის მტკიცებით, სასამართლოში მოწმედ დაკითხული პირები არ ადასტურებდნენ, რომ ხაზარაძე/ჯაფარიძისგან დავალება მიიღეს. ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა თიბისი ბანკის დირექტორის ჩვენება და აღნიშნა, რომ ეს ჩვენება არ იყო არსებითი მნიშვნელობის.[25] საბოლოოდ, დაცვის მხარის შეფასებით, სასამართლომ შეითავსა პროკურატურის ფუნქცია და თაღლითობის ჩადენაში დამნაშავედ ცნო ბრალდებულები.[26]

თავის მხრივ, პროკურატურა აპელირებდა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ ბრალის გადაკვალიფიცირება იყო არსებითად არასწორი და ეფუძნებოდა ფაქტების მცდარ სამართლებრივ შეფასებას. ბრალდების მხარის განმარტებით, საქმის მასალებით იკვეთებოდა ფულის გათეთრების დანაშაულის შემადგენლობა, რადგანაც ადგილი ჰქონდა თანხის

[24] სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი – შემაჯამებელი ანგარიში (2022წ. აპრილი–ივნისი), გვ.19-20, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ehwq [05.04.2023]. ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე: 27.05.2022.

[25] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე: 21.10.2022.

[26] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე: 25.11.2022.

კონვერტაციებს, რომლებიც რამდენიმე კომპონენტს აერთიანებს და ერთობლიობაში მიუთითებს ფულის გათეთრებაზე.[27]

თავად ბრალდებული მამუკა ხაზარაძე სააპელაციო სასამართლოში გამართული სხდომების დროს აცხადებდა, რომ ბრალდებულები იყვნენ პოლიტიკური დევნის ობიექტები. წარმოებული საქმე იყო პოლიტიკურად მოტივირებული და მიმართული იყო მათი ,,გაშავებისკენ", რათა შეჩერებულიყო ანაკლიის პორტის მშენებლობა.[28] ხაზარაძის განცხადებით, ხელისუფლებამ ნაწილობრივ მიზანს მიაღწია და ანაკლიის პროექტი, რომელიც, თავისი არსით, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო, ამ ეტაპისთვის შეჩერებულია. ბრალდებულის აზრით, პროკურატურის მთავარი მიზანი მისი დისკრედიტაცია იყო, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მისთვის და ბადრი ჯაფარიძისთვის ბრალის წარდგენამდე, ხელისუფლებამ, მისი რეპუტაციის შელახვის მიზნით, კამპანია დაიწყო. ამას კი მოჰყვა პროკურატურის ბრიფინგი, სადაც ნახსენები იყო, რომ მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს შესაძლოა ჩადენილი ჰქონოდათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება). მამუკა ხაზარაძემ, ასევე, ისაუბრა ბრალის აბსურდულობაზე. მისი განცხადებით, ხელისუფლების ერთადერთი მიზანია - დააზიანოს მისი და ბადრი ჯაფარიძის რეპუტაციის როგორც, საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.[29]

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაეს სასამართლოს ჯერ არ უმსჯელია საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ გამოვლენილა არსებითი ხასიათის საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევები და დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

10. აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვას. ბრალდებულებს ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რაც გულისხმობს: ქრთამის შეთავაზებას, ჯგუფურად ჩადენილ იძულებას და ჯგუფურად ჩადენილ მუქარას.

დამატებით, აკაკი კობალაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენას და შენახვას. 2020 წლის 10 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მათ

[27] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე: 16.12.2022.
[28] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე: 21.10.2022.
[29] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე: 20.01.2023.

გირაოს სახით 10 000 ლარის გადახდა დაეკისრათ. საქმის განხილვა დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზეა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 9 სასამართლო სხდომა.

საქმე უკავშირდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ისნის საოლქო კომისიის თავმჯდომარის, თედო გობეჯიშვილის გარდაცვალებას, რომელიც 2020 წლის 7 ნოემბერს ოჯახის წევრებმა საკუთარ ბინაში გარდაცვლილი ნახეს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სახელით, 50 ათასი დოლარის სანაცვლოდ, თედო გობეჯიშვილს შესთავაზეს გაეკეთებინა განცხადება არჩევნების გაყალბებაზე და დაეტოვებინა თანამდებობა.[30]

2022 წლის 19 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა და ბრალდების მხარესთან წინასწარი შეთანხმებით სასამართლოში დასაკითხი მოწმეების ნაწილში (გარდა 3 მოწმისა) მტკიცებულებების უდავოდ ცნობა მოითხოვა. ბრალდების მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა დარჩენილი 3 მოწმის ჩვენებების უდავოდ ცნობის შესახებაც. სასამართლომ დააკმაყოფილა მხარეთა შუამდგომლობები და განმარტა, რომ ხსენებული მოწმეები და მათი მონაწილეობით ჩატარებული საპროცესო მოქმედებები გამოკვლევის გარეშე უდავოდ იქნებოდა მიჩნეული.[31]

ამ საქმეს თავდაპირველად განიხილავდა მოსამართლე გიორგი კერატიშვილი. მისი სააპელაციო სასამართლოში განმწესების შემდეგ, საქმეს განიხილავს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე. 2022 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე მოსამართლემ მხარეებს ჰკითხა, თუ რა ეტაპიდან სურდათ საქმის განხილვის გაგრძელება. ბრალდების მხარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დაცვის მხარის უფლება იყო. თავის მხრივ, დაცვის მხარეს არ სურდა არც საქმის განხილვის ხელახლა დაწყება და არც მოწმეთა ხელახლა დაკითხვა. სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის ეს პოზიცია და გადაწყვიტა, საქმის განხილვა გაგრძელებულიყო დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით.[32]

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა აკაკი კობალაძის სიდედრი. მისი ჩვენების თანახმად, იგი მცირეწლოვან შვილიშვილთან ერთად იმყოფებოდა აკაკი კობალაძის სახლში, როდესაც პოლიციელებმა ჩხრეკა ჩაატარეს და ნივთმტკიცებად ამოიღეს საბრძოლო მასრები. მისი ჩვენების თანახმად, პოლიციელების დანახვაზე ბავშვი შეშინდა, რის გამოც თვითონ იძულებული გახდა, ისინი მიეტოვებინა და გასულიყო ბავშვის ოთახში. შესაბამისად, რადგანაც მას არ ჰქონდა ინფორმაცია საკუთარ სახლში ჩატარებული საპროცესო მოქმედებების შესახებ, უარი განაცხადა ჩხრეკის ოქმზე ხელის მოწერაზე. თუმცა, ამ დროს, მას აკაკი კობალაძემ - სიძემ

[30] საოლქოს თავმჯდომარის გარდაცვალების საქმეზე ორი ადამიანი დააკავეს, ნეტგაზეთი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ox8ph [12.06.2023].

[31] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 19.09.2022.

[32] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 21.11.2022.

დაურეკა მობილურზე და უთხრა, რომ ოქმზე მოეწერა ხელი. მისი თქმით, სიძის სახლში საბრძოლო მასრები არასოდეს უნახავს.[33]

სასამართლოში მოწმის სახით დაიკითხნენ აკაკი კობალაძის რძალი და შვილის ნათლია[34], ასევე - აკაკი კობალაძის მეუღლე, რომელმაც ჩვენებაში აღნიშნა, რომ მის ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გარდაცვლილი თედო გობეჯიშვილის ოჯახთან. რაც შეეხება იარაღის არსებობას, - მოწმის თქმით, არც მის მეუღლეს ჰქონია იარაღი და არც ოდესმე უნახავს იარაღი სახლში.[35]

სასამართლოში მოწმის სახით დაიკითხა ბრალდებული აკაკი კობალაძე. მისი განმარტებით, მას და აკაკი ხუსკივაძეს ჰქონდათ მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა. ამავდროულად, თედო გობეჯიშვილი მისი ბავშვობის მეგობარი იყო. მოწმის თქმით, არც მისი და არც აკაკი ხუსკივაძის მხრიდან ადგილი არ ჰქონია თედოს მიმართ რაიმე სახის მუქარას და არც ქრთამი შეუთავაზებიათ. ასევე, კითხვაზე - ნამდვილად იყო თუ არა მის სახლში საბრძოლო მასრები, მოწმემ უპასუხა, რომ არ ჰქონდა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია, რადგან არ იმყოფებოდა სახლში.[36]

მოწმის სახით ასევე, დაიკითხა აკაკი ხუსკივაძე, მისი განმარტებით, აკაკი კობალაძე, თედო გობეჯიშვილი და ლევან თანანაშვილი იყვნენ ძალიან ახლო მეგობრები. შესაბამისად, არც მისი და არც აკაკის მხრიდან ადგილი არ ჰქონია მუქარას ან ქრთამის შეთავაზებას.[37]

საქმის არსებითი განხილვა დასასრულს უახლოვდება.

11. ნიკანორ **მელიას საქმე**

პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, ნიკანორ მელიას ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ს 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების საფუძველზე, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას. საქმე უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. 2021 წლის 17 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის თაობაზე. 2021 წლის 10 მაისს, სასამართლომ, ასევე, დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი სახით შეცვლის თაობაზე. კერძოდ, ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, - პატიმრობა შეიცვალა 40 000-ლარიანი გირაოთი. გირაოს თანხა გამოყო ევროპულმა ფონდმა დემოკრატიისთვის (EED), ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში. სისხლის

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 12.12.2022.
[34] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 13.01.2023.
[35] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 03.02.2023.
[36] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 28.02.2023.
[37] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 11.05.2023.

სამართლის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის თავმჯდომარეობით გრძელდება.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე არ გამართულა არც ერთი სხდომა. 2021-2022 წლების სასამართლო მონიტორინგის შედეგები ასახულია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიშებში.[38]

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის ეს საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“.[39]

12. გიორგი უგულავას და ალექსანდრე გოგოხიას საქმე

ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგოხიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. პროკურატურა მათ სსკ-ის 194-ე მუხლით და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას სდებს ბრალად, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება) და ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადებას, გასაღებას ან გამოყენებას. ამასთან, უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ე. წ. მარნეულის ეპიზოდზე - ჯგუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძულებასაც სდებს ბრალად.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

საანგარიშო პერიოდში, ამ საქმეზე არ გამართულა არც ერთი სასამართლო სხდომა.

2021-2022 წლების სასამართლო მონიტორინგის შედეგები ასახულია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიშებში.[40] როგორც მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიშებშია მითითებული, სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა პროცესუალური ნორმების დარღვევის არაერთი შემთხვევა, კერძოდ: „დაირღვა საკასაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა; არ მოხდა საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლის - შალვა თადუმაძის აცილება, რომელიც მანამდე სასამართლოში საქმის განხილვისას მთავარი ბრალმდებელი (გენერალური პროკურორი) იყო. დაცვის მხარის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ არსებობდა

[38] იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (2022 წ. აპრილი-ივნისი), ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 9, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/sknw [30.03.2023]. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიში, 2022 წ., ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 16-18, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/udcm [30.03.2023].

[39] ,,2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/x1yn [30.03.2023].

[40] იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (2022 წ. აპრილი-ივნისი), ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 9, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/sknw [30.03.2023]; სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიში, 2022 წ., ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 16-18, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/udcm [30.03.2023].

მოსამართლის აცილების საფუძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (რაც გულისხმობს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის დაუშვებლობას ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას). თუმცა, დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მრავალტომიანი საქმე შეისწავლა და განაჩენი გამოიტანა სულ რაღაც 13 დღეში. ამასთან, საკასაციო სასამართლომ საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მაშინ, როდესაც მის მიმართ განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, სავარაუდო პოლიტიკური მოტივების გამო“.[41]

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გიორგი უგულავას და ალექსანდრე გოგოხიას საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები მიმოიხილა დოკუმენტში - „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“.[42]

13. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე, სსკ-ის 225-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით, მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობისთვის. პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე, ოქრუაშვილმა, ისევე, როგორც გიორგი უგულავამ, პენიტენციური დაწესებულება 2020 წლის 15 მაისს დატოვა. შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მოსამართლე ვეფხვია ლომიძემ პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა. ეს გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, სასამართლომ 2022 წლის 1 ნოემბრის განჩინებით უარი თქვა საჩივრის განსახილველად მიღებაზე. შესაბამისად, ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.[43]

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

საანგარიშო პერიოდში, საქმეზე არ ჩატარებულა არც ერთი სასამართლო სხდომა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“.[44]

---

[41] იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიში, 2022 წ., ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 23-24, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/udcm [30.03.2023].

[42] გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/cpm0n [30.03.2023].

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 1 ნოემბრის №468ა3-22 განჩინება.

[44] იხ. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wafrr8 [30.03.2023].

14. ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის საქმე

ეს საქმე ე. წ. ბუტა რობაქიძის საქმის სახელით არის ცნობილი. ირაკლი ოქრუაშვილს და ზურაბ ადეიშვილს ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. საქმე ეხება 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, დიდუბის პანთეონთან მომხდარ შემთხვევას, რა დროსაც საპატრულო პოლიციის პატრულმა ინსპექტორებმა გააჩერეს BMW-ს მარკის ავტომანქანა, მძღოლითა და ხუთი მგზავრით. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გრიგოლ ბაშალეიშვილს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა იღლიის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი - ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდების დადგენილებით, ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მაღალჩინოსნებს დაავალა, რომ „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. გარდა ამისა, ბრალდების შესახებ დადგენილებით, საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, რაც გამოიხატა გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებასა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებაში. ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდება 2019 წლის 19 ნოემბერს, პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე.[45]

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, საქმეზე ჩატარდა 9 სასამართლო სხდომა.

საქმის განხილვა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა, სხდომაზე მოწმის სახით იკითხებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმჟამინდელი სამმართველოს თანამშრომლები, ასევე ამირან (ბუტა) რობაქიძის მეგობრები. ასევე დაიკითხა საქმის მწარმოებელი იმჟამინდელი პროკურორი - ირაკლი წერეთელი. 15 სექტემბერს, სასამართლოში დაიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს იმჟამინდელი უფროსის მოადგილე - ლევან გვაზავა. მისი თქმით, ,,ის მონაწილეობდა მტკიცებულებების ფალსიფიკაციის პროცესში და ამისთვის კიდეც იხდის სასჯელს“. მან განმარტა, რომ პოლიციელ ბაშალეიშვილს გაუვარდა იარაღი, მაგრამ მოგვიანებით გაჩნდა ვერსია, რომ გამოძიება უნდა დაწყებული იმ ვერსიით, რომ თითქოს BMW-ს მარკის ავტომანქანიდან პოლიციას გაუხსნეს ცეცხლი და ადგილი ჰქონდა შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციაზე თავდასხმის შემთხვევას. ადვოკატის შეკითხვაზე - დაზუსტებით იცის თუ არა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ოქრუაშვილმა და ადეიშვილმა მიიღეს გადაწყვეტილება და მათ გასცეს ბრძანება, მოწმემ უპასუხა, რომ ამასთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია

[45] ვრცლად იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 24-25, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r2q8 [04.04.2023].

არ ჰქონდა და მხოლოდ ვარაუდობდა, რადგანაც ირაკლი ოქრუაშვილი და ზურაბ ადეიშვილი იყვნენ ხელმძღვანელი პირები.[46]

პროცესზე დაცულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად დააყენონ შუამდგომლობები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი შეფასებები ასახულია ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკურ დოკუმენტში - „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“.[47]

15. კობა კოშაძის საქმე

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენას, შენახვას ან ტარებას. მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, კობა კოშაძის მიმართ სასამართლომ გააუქმა აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა და ბრალდებულს შეეფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით. კობა კოშაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. საქმეს განიხილავს მოსამართლე გიორგი არევაძე.

2022-2023 წლებში საქმეზე სასამართლო სხდომა არ ჩანიშნულა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა კობა კოშაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“.[48]

16. მეგის ქარდავას საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს უკრაინიდან საქართველოში ექსტრადირებული, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნის, მეგის ქარდავას სისხლის სამართლის პროცესი. პროკურატურა მას ედავება 2011 წელს პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებაში სამი პატიმრის წამებას. მეგის ქარდავას ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის 144 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, კერძოდ - წამებისთვის, რაც ითვალისწინებს 9 წლიდან - 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. საქმე სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა და მიმდინარეობს მტკიცებულებათა გამოკვლევა. ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე

[46] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სისხლის სამართლის საქმეზე: 15.09.2022.

[47] იხ. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wafrr8 [04.04.2023].

[48] ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wafrr8 [30.03.2023].

განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ საქმე პოლიტიკური მოტივით მიმდინარეობს, ის უნდობლობას უცხადებს ქართულ სასამართლოს და უარს აცხადებს პროცესში მონაწილეობაზე.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

საანაგარიშო პერიოდში, მარტის ჩათვლით საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა.

დაცვის მხარე ეჭვის ქვეშ აყენებს ექსტრადირების პროცედურის კანონიერებას. ადვოკატის განცხადებით, პროკურორი, რომელიც უკრაინაში ბრალდებულ მეგის ქარდავას ექსტრადირების საბუთებს აფორმებდა, დააკავეს დოკუმენტების გაყალბებისა და კორუფციის ბრალდებით. სწორედ ამ გარემოების გამო, დაცვის მხარემ დაიწყო მეგის ქარდავას ექსტრადირების კანონიერების შესწავლა. შედეგად, გამოიკვეთა, რომ შესაძლოა, გაყალბებული ყოფილიყო ის დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედო ბრალდებულის ექსტრადირებას. ამ ფაქტის შესახებ ადვოკატმა და თავად ბრალდებულმა წერილობით მიმართეს უკრაინის გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით და ელოდებოდნენ ოფიციალური პასუხის მიღებას. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, საქმეს მტკიცებულების სახით დართვოდა უკრაინის გენერალური პროკურატურისთვის გაგზავნილი წერილი, რომლითაც დაცვის მხარე ითხოვდა გამოძიების დაწყებას ბრალდებულ მეგის ქარდავას ექსტრადირების დოკუმენტაციის სავარაუდო გაყალბების ფაქტზე. მოსამართლემ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა და დოკუმენტური მასალა დაურთო საქმეს.[49]

საქმეზე სასამართლო მონიტორინგის დაკვირვების საფუძველზე არ გამოკვეთილა არსებითი პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევები. საქმის განხილვისას დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად დაეყენებინათ შუამდგომლობები და გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე.

საქმის არსებითი განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

17. გიორგი მუმლაძის საქმე

სამოქალაქო აქტივისტს, გიორგი მუმლაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს პოლიციის მუშაკის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე - აშკარად უკანონო ქმედებისთვის მის იძულებას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ,,გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 14 აპრილს, პარტია „ქართული ოცნების“ ოფისთან მიმდინარე აქციაზე, გიორგი მუმლაძემ პოლიციის თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წინააღმდეგობა

[49] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მეგის ქარდავას სისხლის სამართლის საქმეზე: 18.10.2022.

გაუწია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა“.[50] შესაბამისად, მას ბრალი წარდგენილი ჰქონდა პოლიციის ორი თანამშრომლისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და ფიზიკური შეურაცხყოფის ორ ეპიზოდზე.

2023 წლის 31 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის თანახმად, გიორგი მუმლაძე დამნაშავედ ცნო ბრალად წარდგენილ ორივე ეპიზოდში და სასჯელის სახით განუსაზღვრა 5000-ლარიანი ჯარიმა.[51]

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 11 სხდომა.

ერთ-ერთ პროცესზე ბრალდების მოწმე არ გამოცხადდა, რაც გახდა სხდომის გადადების მიზეზი[52]. ამ საქმეში პრობლემაა სასამართლო სხდომების დროული დაწყება. ერთ-ერთი სხდომა 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო. მოსამართლეს არ განუმარტავს სხდომის დაგვიანებით დაწყების მიზეზი.[53]

სხდომაზე დაიკითხა სამხარაულის სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, რომელმაც დაზარალებული პოლიციელის ჟაკეტს ჩაუტარა ტრასოლოგიური ექსპერტიზა, რათა დაედგინა, ჰქონდა თუ არა ჟაკეტს მარჯვენა ნაწილში დაზიანება. მოწმის განმარტებით, კვლევის შედეგად ჟაკეტზე დაზიანება არ გამოვლენილა.[54] სასამართლო პროცესზე დაცვის მხარე ამტკიცებდა, გიორგი მუმლაძეს არ ჩაუდენია დანაშაული და შესაბამისად, მისი დაკავება იყო უკანონო. დაცვის მხარისავე შეფასებით, გიორგი მუმლაძის შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტს მხოლოდ პოლიციელი მოწმეები ადასტურებდნენ და ბრალდების მხარეს სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამ გარემოებების გათვალისწინებით, წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.[55]

გიორგი მუმლაძის საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასება ასახულია [სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიშში](#) (2022).[56]

---

[50] საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ერთი პირი დააკავეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14.04.2021 წლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xmx67 [12.06.2023].

[51] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 31.05.2023.

[52] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 15.07.2022.

[53] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 25.10.2022.

[54] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 24.03.2023.

[55] ვრცლად იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 10-11, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r2q8 [06.04.2023].

[56] სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 10-11, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r2q8 [06.04.2023].

18. გიორგი რურუას საქმე

,,მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მეწილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ს 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება). ასევე, ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ს 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას.

2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და სასჯელის სახით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ რურუა დამნაშავედ ცნო ორივე ბრალდებაში. საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე, 2021 წლის 27 აპრილს მსჯავრდებულმა დატოვა პენიტენციური დაწესებულება. პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 2021 წლის 19 აპრილს ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას (ე. წ. შარლ მიშელის დოკუმენტი), რომლის თანახმად, გიორგი რურუას მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმი. შეწყალების მიუხედავად, გიორგი რურუამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა. საქმე ამ ეტაპზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში იხილება.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი“.[57]

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, საქმეზე არ ჩატარებულა არც ერთი სხდომა.

საქმეში იდენტიფიცირებული მატერიალური და პროცესუალური დარღვევები და 2021-2022 წლების სასამართლო მონიტორინგის შედეგები ასახულია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიშებში.[58]

19. კახა კალაძე ჟურნალისტ მაია მამულაშვილის და ტვ „პირველის“ წინააღმდეგ

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სამოქალაქო საქმე - ქალაქ თბილისის მერი კახა კალაძე ჟურნალისტ მაია მამულაშვილისა და TV „პირველის“ წინააღმდეგ. ჟურნალისტმა თბილისის მერი კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ კალაძემ ტენდერებიდან 60 მილიონი ლარი მიიღო. კახა კალაძე სასამართლოში ჟურნალისტის მიერ

[57] გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/fb0n [30.03.2023].

[58] იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (2022 წ. აპრილი-ივნისი), ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 9, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/sknw [30.03.2023]; სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში (2022), ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 16-18, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/udcm [30.03.2023].

საჯაროდ გავრცელებული ამ მცდარი და ღირსების შემლახავი ინფორმაციის უარყოფასა და მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისთვის 100 000 ლარის დაკისრებას ითხოვდა.

2022 წლის 30 ნოემბერს დასრულდა საქმის არსებითი განხილვა და მოსამართლე ზაალ მარუაშვილმა გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კახა კალაძის სარჩელი და ჟურნალისტ მაია მამულაშვილს და TV ,,პირველს" მორალური ზიანის სახით, სოლიდარულად დააკისრა 15 000 ლარის გადახდა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მაია მამულაშვილმა გავრცელებული მცდარი ცნობები უნდა უარყოს იგივე ფორმით, რა ფორმითაც ისინი გავრცელდა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე გაიმართა 4 სასამართლო სხდომა.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოში ამ საქმის განხილვა ამავე კატეგორიის სამოქალაქო საქმეებთან შედარებით დაჩქარებულად მიმდინარეობდა. ზოგადად, თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განხილვა რამდენიმე წელი გრძელდება[59]. ამ საქმის განხილვა კი 2 თვეში დასრულდა და სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. საქმის განხილვის დასრულება ასეთ მოკლე დროში აჩენდა კითხვას: სასამართლოს ამ საქმისადმი ასეთი განსხვავებული მიდგომა ვადების დაცვასთან დაკავშირებით, რა ფაქტობრივი გარემოებებით იყო განპირობებული?

საზოგადოებას უჩნდება წარმოდგენა, რომ სასამართლომ შესაძლოა, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოავლინოს მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვასთან დაკავშირებით. საზოგადოების ასეთმა წარმოდგენებმა შესაძლებელია, დააზიანოს სასამართლოს ავტორიტეტი, რადგანაც საზოგადოებას გააჩნია ინტერესი, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ სამოქალაქო დავების ჯეროვნად, მათ შორის დროული განხილვა, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგით დასრულდება ამა თუ იმ საქმის განხილვა.[60] საბოლოოდ, სასამართლოს მხრიდან ამგვარი შესაძლო შერჩევითი მიდგომა უარყოფითად აისახება სასამართლოს ავტორიტეტზე.

სხვა საქმეების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა სხდომის დარბაზის ტექნიკური გაუმართაობის პრობლემა, რაც მხარეებს ხელს უშლიდა ვიდეომტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევაში. 28 ოქტომბერს გამართულ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ მას არ მიუღია მოსარჩელის მიერ 6 ოქტომბერს სასამართლოსთვის წარდგენილი ვიდეომტკიცებულება და, შესაბამისად, არ მიეცა საქმის გაცნობის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ სასამართლოს მხოლოდ ერთ

[59] თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების შესახებ წლებია არაერთი ორგანიზაცია საუბრობს, იხ. საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში - 2015-2018 წლების პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/qa12i [24.04.2023].

[60] გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის და სასამართლო პროცესში მოსამართლის როლის შესახებ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გათვალისწინებით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა N6, 2004, გვ. 19.

ელექტრონულ დისკზე ჩაწერილი ვიდეომტკიცებულება გადასცა, რომელიც დაიტოვა სასამართლომ, ხოლო მხარეები და სასამართლო შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე მიიღებდა ამ მტკიცებულებას. თუმცა, როგორც გაირკვა, არც მოსარჩელე მხარემ და არც სასამართლომ მოპასუხე მხარის ადვოკატს ეს მტკიცებულება არ გადაუგზავნეს. საბოლოოდ, მოსამართლემ პროცესზე გამოაცხადა ტექნიკური შესვენება, რათა დაცვის მხარე ადგილზევე გაცნობოდა ვიდეომტკიცებულებას. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სასამართლო არ იყო აღჭურვილი სხდომაზე ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. შედეგად, მოსარჩელე მხარის ადვოკატმა უკან გაითხოვა ეს ვიდეომტკიცებულება.[61]

დაკვირვების საფუძველზე, არ გამოკვეთილა არსებითი პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევები. საქმის განხილვისას დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად დაეყენებინათ შუამდგომლობები და გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე.

20. GMI Rights Management ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ

თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა კომპანია GMI Rights Management-ის სამოქალაქო სარჩელის განხილვა ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა საავტორო უფლებების დარღვევა, კერძოდ - ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის მიერ მურმან ლებანიძის ლექსის - „მეშინიას“ საჯარო წაკითხვა და საარჩევნო კლიპში მისი უნებართვო გამოყენება. საავტორო უფლებების კავშირის სახელით, GMI Rights Management-მა საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას ზიანის სახით 50 000 ევროს ანაზღაურება მოსთხოვა. თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოჩა დიდავას 2023 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების თანახმად, GMI Rights Management-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ „კახა კალაძე ჟურნალისტ მაია მამულაშვილის და TV„პირველის“ წინააღმდეგ“ საქმის მსგავსად, ამ საქმის განხილვაც დაჩქარებულად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საქმის განხილვის ვადების დაცვით წარიმართა.

დაკვირვების საფუძველზე, არ გამოკვეთილა არსებითი პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევები. საქმის განხილვისას დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად დაეყენებინათ შუამდგომლობები და გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე.

[61] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში კახა კალაძე ჟურნალისტ მაია მამულაშვილის და ტვ „პირველის“ წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლის საქმეზე: 28.10.2022.

21. მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების საქმე

2023 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების შუამდგომლობის განხილვა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მისი სასჯელისგან გათავისუფლების ან ალტერნატივის სახით სასჯელის გადავადების თაობაზე. გადაწყვეტილება გამოცხადდა 2023 წლის 6 თებერვალს. საქმის განმხილველმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობა. საქმეს იხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევაძე. კანონით დადგენილ ვადაში, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2023 წლის 2 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე ეკატერინე კულულაშვილმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

ამ საქმეზე სასამართლო პროცესები 2022 წლის 14 დეკემბრიდან, პერმანენტულად, კვირაში რამდენჯერმე იმართებოდა. ჯამში, საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 14 სასამართლო სხდომა.

საწყის ეტაპზე, ბრალდებულს სურდა დასწრებოდა სასამართლო პროცესს, თუმცა, ექიმის რეკომენდაციით მან მოითხოვა სხდომაში დისტანციურად ჩართვა, თუმცა ტექნიკური აღჭურვოლობის არარსებობის გამო, ეს ვერ ხერხერხდებოდა. მიხეილ სააკაშვილი დისტანციურად სასამართლო პროცესზე ჩაერთო 2023 წლის 1 თებერვალს.[62]

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით იკითხებოდნენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები. მათ შორის, დაიკითხნენ სახალხო დამცველის აპარატის კონსილიუმის წევრები. სახალხო დამცველის აპარატის კონსილიუმის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა იყო მძიმე და იგი დროდადრო უარესდებოდა. რაც შეეხება დიაგნოზს, მიხეილ სააკაშვილს დაუდგინდა კახექსია, ანორექსია, ანემია, კოგნიტიური დარღვევები და დემენცია.[63] ექსპერტები მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით აკეთებდნენ სამედიცინო განმარტებებს და იყენებდნენ სპეციფიკურ სამედიცინო ლექსიკას. მათ შორის, ერთი და იგივე დიაგნოზის თუ დაავადების აღსაწერად, მხარეები და მათი ექსპერტები იყენებდნენ სხვადასხვა ტერმინოლოგიას. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ინტოქსიკაციისა და ორგანიზმში მძიმე მეტალის აღმოჩენის ფაქტებს, ენცეფალოპათიის და ნეიროპათიის დიაგნოზს, რომელთან დაკავშირებითაც მხარეები და მათი ექსპერტები განსხვავებულ სამედიცინო და სამართლებრივ შეფასებებს აკეთებდნენ. ასე, მაგალითად, - მოწმე ექსპერტები ზუსტად ვერ პასუხობდნენ, თუ რა მიმართება იყო ადამიანის ორგანიზმში ტყვიისა და დარიშხანის დასაშვებ დოზებსა და სააკაშვილის ორგანიზმში აღმოჩენილ დოზებს შორის. მსგავს საკითხებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე მოწმეები ლავირებდნენ და აკეთებდნენ სხვადასხვა განმარტებას.

---

[62] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების სისხლის სამართლის საქმეზე: 01.02.2023.

[63] იქვე.

2023 წლის 3 თებერვალს მოწმის სახით დაიკითხა კლინიკა „ვივამედის“ გენერალური დირექტორი, რომელმაც აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი უნდობლობას უცხადებს მთლიანად კლინიკას, შეურაცხყოფას აყენებს პერსონალს და მათ მუდმივად ამყოფებს წნეხის ქვეშ. ამასთან, მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი გამიზნულად არ იღებს კალორიულ საკვებს და ამაში მას მხარს უჭერენ ადვოკატები და ოჯახის წევრები. მან ძირითადად აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმდეს, რადგანაც „მისი თავისუფლების გასაღები სწორედ მის ცუდად ყოფნაშია. […] მგონია, სპეციალურად უნდათ წონის მასის ინდექსის ჩამოყვანა და დავა, რათა მოხდეს გაყვანა დაწესებულებიდან“, - განაცხადა მოწმემ სასამართლო სხდომაზე“.[64]

2023 წლის 6 თებერვალს მხარეებმა წარმოთქვეს დასკვნითი სიტყვა.

დაცვის მხარის შეფასებით, ამ საქმეში პენიტენციური სამსახურის მიზანი არ იყო, გაერკვიათ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნამდვილად იყო თუ არა მძიმე. ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის შეფასებით, გამოგონილი ვერსია იყო თითქოს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოწვეული იყო თავად მის მიერ საკვების არმიღებით. მისივე შეფასებით, „დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ცენტრ „ემპათიის“ დასკვნით, უცხოელი და ქართველი ექსპერტების ჩვენებებისა და დადასტურებული დიაგნოზების (ფსიქიკური აშლილობა, დაუზუსტებელი დემენცია, ნერვული სისტემის დაავადება, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადება - კახექსიის სტადიაში) გათვალისწინებით, გამოვლინდა სააკაშვილისათვის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების საფუძვლები“.[65]

პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა თავის დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საქმეში არ არსებობდა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ან სასჯელის მოხდის გადავადების საფუძვლები. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმე არ დადასტურებულა შესაბამისი სარწმუნო მტკიცებულებებით, რადგანაც პენიტენციური სამსახურის შეფასებით, ცენტრ „ემპათიის“ დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო სარწმუნო სააკაშვილის ჯანმრთელობის სიმძიმესთან დაკავშირებით: „დასკვნა არ არის კატეგორიული, იგი დაუსაბუთებელი და არაარგუმენტირებულია, რაც ვერ იქნება მტკიცებულება მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის დასადასტურებლად“, - აღნიშნა პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა. მისივე შეფასებით, პენიტენციურ სისტემაში მოხვედრის დღიდან, მსჯავრდებული უზრუნველყოფილია ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით - როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე, სამოქალაქო სექტორის კლინიკაში. ამავე სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილისათვის ოფიციალურად დასმულ ყველა დიაგნოზთან მიმართებით სრულყოფილად არის შესაძლებელი ნებისმიერი სამედიცინო სერვისის მიწოდება. „შიმშილობა, საკვების მცირე ოდენობით მიღება არის მისი მხრიდან თვითდაზიანების მცდელობა, რაც ემსახურება ერთადერთ მიზანს - მოხდეს თავის არიდება დანიშნული სასჯელისთვის“, - განაცხადა პენიტენციური სამსახურის

[64] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების სისხლის სამართლის საქმეზე: 03.02.2023.

[65] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების სისხლის სამართლის საქმეზე: 06.02.2023.

წარმომადგენელმა 6 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე.[66] მან ყურადღება გაამახვილა მიხეილ სააკაშვილის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ გადაცდომებსა და იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რაც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღიძრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ. შესაბამისად, პენიტენციური სამსახურის პოზიციით, მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები, მის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულები, მოტივი, მიზანი და დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, ისევე, როგორც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ამ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილს სააპელაციო სასამართლომაც არ გადაუვადა სასჯელი, ადვოკატებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობა დროებითი ღონისძიების გამოყენების სახით, საქართველოს მთავრობისათვის დაევალებინა მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანა. მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, შოთა თუთბერიძის განმარტებით, „ეს არ გახლავთ ევროსასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება სააკაშვილის საქმეზე, სადაც სააკაშვილის ძირითადი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლო არსებითად ამ საქმეს განიხილავს [...] ამ პროცედურულ საკითხში ევროსასამართლომ არ დაავალა საქართველოს მთავრობას სააკაშვილის დაუყოვნებლივი გადაყვანა ვარშავაში, როგორც მინიმუმ საჩივრის განხილვის დასრულებამდე“.[67] საქართველოს იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის შეფასებით კი, „სახელმწიფოს ყველა მოქმედება მისი შემოსახლების დღიდან იყო კორექტული და იყო ადამიანის უფლებების უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი“.[68]

22. ჯელალ ქიქავას საქმე

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერს, ჯელალ ქიქავას პროკურატურა ედავება სსკ-ს 366-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას - სასამართლოს უპატივცემულობას, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის და მოსამართლის შეურაცხყოფით. ჯელალ ქიქავა „ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის წევრია. 2022 წლის 28 მარტს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას, პროკურორებთან შელაპარაკების გამო, ჯელალ ქიქავა სასამართლოს დარბაზიდან გააძევეს და 500-ლარიანი ჯარიმაც დააკისრეს. პროკურატურამ 1 თვის შემდეგ დაადგინა, რომ ჯელალ ქიქავამ სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. საქმეს განიხილავს მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი.

---

[66] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების სისხლის სამართლის საქმეზე: 06.02.2023.

[67] თუთბერიძე: სტრასბურგის პასუხი დროებით ღონისძიებას ეხება, საქმის განხილვა მიმდინარეობს, „ფორმულა“, 12 მაისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/2gdfm [31.05.2023].

[68] ბრეგაძე: სტრასბურგის სასამართლოში სააკაშვილს უარი ეთქვა ვარშავაში გადაყვანაზე, ფორმულა, 12 მაისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/3d69i [31.05.2023].

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 2 სასამართლო სხდომა.

ამ საქმეზე ბოლო სასამართლო სხდომა გაიმართა 2022 წლის 16 დეკემბერს, სადაც მხარეებმა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები ცნეს უდავოდ.[69]

საქმის არსებითი განხილვა დასრულებულია. სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

საქმეზე დაკვირვების შედეგად, არ გამოკვეთილა არსებითი პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევები. საქმის განხილვისას დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად დაეყენებინათ შუამდგომლობები და გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე.

23. კახა კუკავას საქმე

2022 წლის 7 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას, ასევე - არსენ ნადირაძის და მიხეილ საკანდელიძის წინააღმდეგ. მათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო ედავებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდეგში - ასკ) 173–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელის, კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება). თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო შჩერბაკოვმა გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია და კახა კუკავას და მიხეილ საკანდელიძეს 2200 ლარის, ხოლო არსენ ნადირაძეს - 2000 ლარის ოდენობის ჯარიმა შეუფარდა. დაცვის მხარე არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 2 სასამართლო სხდომა.

პროცესზე დაკვირვებისას ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორს ხელი შეეშალა სასამართლოს სხდომაზე დაუბრკოლებლად დასწრებაში. სახელდობრ, მოსამართლის თანაშემწემ უარი განაცხადა მისთვის სხდომის ჩატარების დროისა და სხდომის დარბაზის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე იმ საფუძვლით, რომ მონიტორი არ იყო მხარე - მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე (დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ

[69] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ჯელალ ქიქავას სისხლის სამართლის საქმეზე: 16.12.2022.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში).[70] შესაბამისად, ღია სასამართლო სხდომა საჯაროა და მასზე დასწრება ყველას შეუძლია.[71] ამასთან, საქმისადმი დიდი საჯარო ინტერესის გაუთვალისწინებლად, სასამართლო სხდომები იმართებოდა მცირე ზომის დარბაზებში, რის გამოც, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, მხარეების გარდა, სხდომებს სხვა პირებიც დასწრებოდნენ.

24. ლევან ხაბეიშვილის საქმე

საქართველოს პარლამენტის მოქმედ წევრს, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს – ლევან ხაბეიშვილს საქართველოს პროკურატურა სსკ–ს 126–ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. საქმის მასალების თანახმად, 2020 წლის 24 იანვარს ქ. თბილისის საკრებულოს დერეფანში, ლევან ხაბეიშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მაშინდელ მოადგილეს ირაკლი ზარქუაზე ფიზიკურად იძალადა. საქართველოს პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ლევან ხაბეიშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით 3000-ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა. ეს მოთხოვნა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბრალდებულს 2000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე სხდომა არ ჩატარებულა. უკანასკნელი სხდომა სისხლის სამართლის საქმეზე 2022 წლის 17 აპრილს გაიმართა.[72]

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

ლევან ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო მონიტორინგის შედეგები და ძირითადი მიგნებები ასახულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტში - ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის ტენდენცია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენების კვალდაკვალ.[73]

საქმის არსებითი განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

25. დავით კეზერაშვილის საქმე

თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასრულდა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილისა და ამავე სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის - ალექსანდრე ნინუას სააპელაციო სარჩელის განხილვა. 2022 წლის მარტში თბილისის საქალაქო სასამართლომ მათ სოლიდარულად დააკისრა 5 060 000 ევროს ოდენობის ზიანის ანაზღაურება თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის

[70] საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[71] იხ. საქართველოს ორგანული კანონი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“, მე-13 მუხლი.
[72] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ლევან ხაბეიშვილის სისხლის სამართლის საქმეზე: 17.04.2022.
[73] ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის ტენდენცია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენების კვალდაკვალ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/sik5 [03.04.2023].

21 მარტის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ალექსანდრე ნინუას სააპელაციო საჩივარი. იგი გათავისუფლდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ხოლო დავით კეზერაშვილს სრულად დაეკისრა 5 060 000 ევროს (ეკვივალენტი ლარში) გადახდა თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ. საქმე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, ოთარ სიჭინავას, გოჩა ჯეირანაშვილისა და ლაშა თავართქილაძის შემადგენლობით.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 2 სასამართლო სხდომა.

როგორც ცნობილია, 2021 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით კეზერაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში, რისთვისაც სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, მას 3 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. ეს სასჯელი, 2012 წლის 29 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განახევრდა და საბოლოოდ, დავით კეზერაშვილს განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დანიშვნით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა 1 წლისა და 6 თვის ვადით. პროკურატურა კეზერაშვილს 5 060 000 ევროს თაღლითობით მითვისებას ედავებოდა. აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის მიღებამდე, დავით კეზერაშვილი ორმა ინსტანციამ გაამართლა. უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს თავმჯდომარე შალვა თადუმაძე იყო, რომელიც საქმის გამოძიების ეტაპზე გენერალური პროკურორის მოვალეობას ასრულებდა. ამდენად, ეს გარემოება აპელანტი მხარის შეფასებით აჩენდა ეჭვებს სასამართლოს შესაძლო მიკერძოებასთან დაკავშირებით.

სწორედ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიმართა სასამართლოს და ზიანის სახით 5 მილიონი ევროს ანაზღაურება მოითხოვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, რაც დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

გარდა ამისა, აპელანტი მხარე აპელირებდა, რომ საქმეს ჰქონდა პოლიტიკური კონტექსტი, რადგანაც ვიდრე დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ აღიძვრებოდა საქმე, პრემიერ-მინისტრმა ტელევიზიით გამოსვლისას ის მოიხსენია თაღლითად და დამნაშავედ. პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებას კი დაემთხვა დავით კეზერაშვილის მიმართ საქმის დაწყება.[74] აპელანტი აგრეთვე უთითებდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ოდენობის ნაწილში იყო დაუსაბუთებელი - „მოსამართლეს არ უმსჯელია ზიანის მოცულობის განსაზღვრაზე და, მიუხედავად ამისა, დავით კეზერაშვილს სასამართლოს განჩინების

[74] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში დავით კეზერაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე: 17.02.2023.

საფუძველზე დაევალა 5 მილიონი ევროს გადახდა თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ“, - აღნიშნა აპელანტმა მხარემ სასამართლო პროცესზე.[75]

26. ზვიად კუპრავას საქმე

თბილისის საკრებულოს და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ზვიად კუპრავას საქართველოს პროკურატურა სსკ-ს 126–ე (ძალადობა) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს სდებს ბრალად. როგორც პროკურატურის საბრალდებო დასკვნაშია მითითებული, ზვიად კუპრავამ 2020 წლის 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას, ერთ–ერთი საარჩევნო უბნის მიმდებარედ იძალადა მოქალაქეზე, რომელსაც მიადგა სხეულის დაზიანება და განიცადა ფიზიკური ტკივილი. ამჟამად, საქმე სასამართლო განხილვის ეტაპზეა და მას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე, გიზო უბილავა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ თავდაპირველად, 2020 წელს, გამოძიება დაიწყო ზვიად კუპრავას განცხადების საფუძველზე. კერძოდ, საქმეში დაზარალებულად ცნობილმა პირმა ძალადობის პროვოცირებით, თავად იძალადა ზვიად კუპრავაზე. ბრალდებულის განცხადებით, მის წინააღმდეგ აღძრული საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია, რადგანაც ბრალდების მხარის მოწმეები ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები იყვნენ.[76]

საქმის არსებითი განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

27. ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის საქმე

2023 წლის 7 მარტს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს „გირჩი - მეტი თავისუფლების“ ლიდერი ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ამავე პარტიის წევრი - ნიკა მოსიაშვილი. მათ ედავებიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის (წვრილმანი ხულიგნობა) და ამავე კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) დარღვევას. თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განმხილველმა მოსამართლემ, 48-საათიანი ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდგომ, დაკავებულები პატიმრობიდან გაათავისუფლა. 10 მარტს გამართულ სხდომაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირები ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ესწრებოდნენ. ზურაბ ჯაფარიძეს დაუდასტურდა COVID-19, ხოლო ნიკა მოსიაშვილი დაკავებისას მიღებული დაზიანებების გამო ტვინის შერყევის მკურნალობას გადიოდა სტაციონარში. სხდომაზე ადვოკატებმა იშუამდგომლეს

[75] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში დავით კეზერაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე: 17.02.2023.

[76] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმეზე: 31.01.2023.

მტკიცებულებების სახით შემთხვევის ადგილის უწყვეტი ვიდეოკადრების დართვა და, ასევე, - სხდომის გადადება ადმინისტრაციულ პასუხსიგებაში მიცემული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ირაკლი ჩიკაშუა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

საანაგრიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა.

2023 წლის 17 მაისის სხდომაზე, ჯაფარიძის დამოსიაშვილის ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე და განმარტა, რომ სუბიექტური და ობიექტური შეფასების ტესტის საფუძველზე მოსამართლის განწყობა ამ საქმისადმი ტოვებდა უსამართლობის განცდას. ამასთან, ადვოკატის თქმით, პირველ სხდომაზე მოსამართლის ქმედებამ საფრთხე შეუქმნა ჯაფარიძისა და მოსიაშვილის ჯანმრთელობას, მიაყენა მათ მორალური და ფიზიკური ტანჯვა, როდესაც მან არ გადადო სხდომა, მიუხედავად იმისა, რომ ჯაფარიძე იყო კოვიდინფიცირებული და ჰქონდა მაღალი წნევა, მოსიაშვილს კი თავი ჰქონდა დაზიანებული. აგრეთვე, ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ დაცვის მხარეს არ მისცა გონივრული დრო, რომ გასცნობოდნენ საქმის მასალებს. ასევე, მოსამართლე ისე ტოვებდა სხდომის დარბაზს, რომ ხელში ეჭირა ტელეფონი, რითაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის მესამე პირს უკავშირდებოდა.[77] შინაგან საქმეთა სამინისტრო არ დაეთანხმა ამ შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ არ იკვეთებოდა მოსამართლის აცილების კანონისმიერი საფუძვლები. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა აცილების შუამდგომლობა და მიუთითა, რომ სასამართლოს მიზანი არ არის ვინმესთვის ზიანის მიყენება; პირველ სხდომაზე კი სასამართლო და დამსწრე პირები ელოდებოდნენ სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლას.[78]

ადვოკატის მეორე შუამდგომლობა ეხებოდა საგამოძიებო ორგანოებიდან იმ უწყვეტი კადრების გამოთხოვას, რომლებიც აღწერდა პარლამენტის მიმდებარედ განვითარებულ მოვლენებს. ადვოკატის განცხადებით, დაცვის მხარემ საგამოძიებო ორგანოებში შეიტანა საჩივარი ჯაფარიძისა და მოსიაშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე და მოითხოვა საქმის მასალების გადაცემა, რაზეც მიიღო უარი იმ საფუძვლით, რომ ჯაფარიძე და მოსიაშვილი საქმეში დაზარალებულად არ იყვნენ ცნობილნი. ადვოკატს მიეცა შესაძლებლობა, ადგილზე გასცნობოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის - 112-ის კამერების ჩანაწერებს, ასევე, ჟურნალისტების მიერ გამოთხოვილ ჩანაწერებს - იმ უწყვეტ კადრებს, რაც ტელევიზიითაც არ გაშუქებულა. შსს არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ 13 აპრილს შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც გადამღები ტექნიკა დაზიანებულია, შესაბამისად, არ არსებობს კადრები. ადვოკატმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ისინი საუბრობდნენ იმ კადრებზე, რომლებიც საგამოძიებო ორგანოებმა გადასცეს ჟურნალისტებს და სადაც ისმის ხმა. ასევე, ეს ჩანაწერები აღწერს დაკავების ადგილის მიმდებარე პერიმეტრს სრულად და კადრში ჩანს, რომ საქმეში მოწმედ წარმოდგენილი პირები,

[77] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 17.05.2023.
[78] იქვე.

რომლებიც აცხადებენ, რომ თითქოს მათ დააკავეს ჯაფარიძე და მოსიაშვილი, იმ პერიოდში ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდნენ. სასამართლომ ეს შუამდგომლობა დატოვა ღიად.[79]

შსს-ს წარმომადგენელმაც წარადგინა შუამდგომლობა და მოითხოვა საქმეზე მტკიცებულების სახით დართვოდა 2 ვიდეო დისკი. ამ ჩანაწერების მიხედვით, შსს-ს წარმომადგენელი აპელირებდა, რომ ჯაფარიძე და მოსიაშვილი ძალის გამოყენებით აწვებოდნენ სპეცრაზმელებს და ცდილობდნენ პოლიციელთა კორდონის გარღვევას. ზურა ჯაფარიძემ და ნიკა მოსიაშვილმა კი განმარტეს, რომ ისინი არ აწვებოდნენ პოლიციელთა კორდონს და უბრალოდ იდგნენ. ადვოკატის მტკიცებით, ამ ვიდეოს კავშირი არ ჰქონდა საქმესთან, რადგანაც შესაძლოა, იგი სულაც სხვა დროს ყოფილიყო გადაღებული. ამასთან, მისი თქმით, სამართალდარღვევა უნდა დასტურდებოდეს არა მარტო პოლიციის ჩვენებით ან ოქმით, არამედ სახეზე უნდა იყოს მტკიცებულებათა ერთობლიობა. ადვოკატის შეფასებით, სახელმწიფოს ინტერესია ჯაფარიძისა და მოსიაშვილის ამ საქმეში გამტყუნება, სასამართლოს კი აქვს პასუხისმგებლობა დაიცვას ეს პირები რეპრესიებისგან. სასამართლოდ შსს-ს წარმომადგენლის ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.[80]

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

28. გიორგი მუმლაძის საქმე (ადმინისტრაციული)

2023 წლის 8 მარტს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე, ადმინისტრაციული წესით დააკავეს სამოქალაქო აქტივისტი, გიორგი მუმლაძე. მას ედავებიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლისა (წვრილმანი ხულიგნობა) და ამავე კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) დარღვევას. საქმის განმხილველმა მოსამართლემ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი სასამართლოში პირველი წარდგენისას ადმინისტრაციული პატიმრობიდან გაათავისუფლა ადმინისტრაციული პატიმრობის 48-საათიანი ვადის ამოწურვის გამო. 2023 წლის 10 აპრილს გამართულ სხდომაზე დასრულდა მტკიცებულებების გამოკვლევა. მხარეებმა თქვეს საპაექრო სიტყვა და რეპლიკა. არსებული განრიგის თანახმად, გადაწყვეტილება გამოცხადდება 2023 წლის 26 აპრილს. საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მანუჩარ ცაცუა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 2 სასამართლო სხდომა.

2023 წლის 10 აპრილს გამართულ სხდომაზე გიორგი მუმლაძემ თავის საპაექრო სიტყვაში აღნიშნა, რომ შსს-მ ვერ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის პოლიციას უწევდა წინააღმდეგობას. ამასთან, გიორგი მუმლაძემ განაცხადა, რომ სიცრუე იყო ერთ-ერთი პოლიციელის ნათქვამი, რომ თითქოს სწორედ ამ პოლიციელმა დააკავა მუმლაძე. გიორგი მუმლაძის პოზიციით, საქმე უნდა შეწყვეტილიყო სამართალდარღვევის

[79] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 17.05.2023.

[80] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და ნიკა მოსიაშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 17.05.2023.

ფაქტის არარსებობის გამო, რადგანაც სასამართლო არ უნდა დაეყრდნობოდა მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს.

შსს-ს წარმომადგენლის საპაექრო სიტყვის თანახმად კი, გიორგი მუმლაძემ შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციას, რაც დაადასტურეს მოწმედ გამოკითხულმა პოლიციის თანამშრომლებმა. აქციის მონაწილეთა დაკავებამდე გაკეთებულ გაფრთხილებასთან დაკავშირებით შსს-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე აქციაზე სპეციალური საშუალებებით კეთდებოდა გაფრთხილება.[81]

2023 წლის 26 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლომ გიორგი მუმლაძე ცნო სამართალდამრღვევად და დააკისრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.[82]

29. ნადიმ ხმალაძის საქმე

სამოქალაქო აქტივისტი ნადიმ ხმალაძე 2023 წლის 8 მარტს, თბილისში, თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მას შინაგან საქმეთა სამინისტრო 7 მარტის საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173–ე (დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას ედავება. საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ნინო ენუქიძე.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა.

საქმის საჯარო განხილვის უფლება სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია[83], რომელიც არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ საზოგადოების უფლებაც არის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ“.[84] საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ,,საქმის საჯარო, ზეპირი მოსმენა გამორიცხავს „საიდუმლო მართლმსაჯულებას”, [...] აფერმკრთალებს როგორც ცდუნებას სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა, ისე ეჭვებს ასეთი თვითნებობისა. საქმის ზეპირი მოსმენა აძლიერებს როგორც მხარეთა, ისე საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი“.[85]

---

[81] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 10.04.2023.

[82] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 26.04.2023.

[83] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-60.

[84] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[85] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-63.

ამ და სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მონიტორინგის შედეგად, ტენდენციის სახით გამოიკვეთა, რომ არც უშუალოდ სასამართლოს შენობაში და არც სასამართლოს ოფიციალურ გვერდზე საჯაროდ არ არის განთავსებული ინფორმაცია საქმის განმხილველი მოსამართლის, სხდომის თარიღისა და დარბაზის შესახებ. ამასთან, სხდომაზე დასწრების მსურველ პირებს ხშირად რამდენიმესაათიანი ლოდინი უწევთ სხდომაზე დასასწრებად, რადგანაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეების განხილვა არასდროს იწყება ჩანიშნულ დროს. მაგალითად, ნადიმ ხმალაძის საქმის განხილვა ჩანიშნული იყო 2023 წლის 21 მარტს, 11:00 საათზე, მაგრამ სასამართლო სხდომა 4 საათის დაგვიანებით გაიხსნა.[86]

2023 წლის 27 მარტს გამართულ სხდომაზე, დაცვის მხარის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ საქმეში არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა ნადიმ ხმალაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას. ადვოკატმა სხდომაზე წაიკითხა შსს-ს თანამშრომლების მიერ შედგენილი პატაკი, სამართალდარღვევის ოქმი და დაკავების ოქმი, რომელიც შეიცავდა რიგ უზუსტობებს. კერძოდ, სამივე ამ დოკუმენტში მითითებული არ იყო სამართალდარღვევის ჩადენის ზუსტი თარიღი და სავარაუდო სამართალდამრღვევი პირის ვინაობა.[87] ოქმების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით, სასამართლომ შსს-ს წარმომადგენლებს სთხოვა დაეკონკრეტებინათ, თუ რომელ დღეს (7 მარტს თუ 8 მარტს) ჩადენილ სამართალდარღვევაზე ედავებოდნენ ნადიმ ხმალაძეს. შსს წარმომადგენლის განმარტებით, ისინი ნადიმ ხმალაძეს 7 მარტს ჩადენილ სამართალდარღვევაზე ედავებოდნენ და ოქმში შესაძლოა ყოფილიყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა, სადაც მითითებული იყო, რომ „7-8 მარტის აქციაზე პოლიციისათვის უცნობი პიროვნება არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და იგინებოდა პოლიციელების მისამართით“.[88]

დაცვის მხარის შეფასებით, ადმინისტრაციული ორგანო ცდილობდა სახელმწიფოს პოზიციის დაცვას და ნადიმ ხმალაძის დისკრედიტაციას. თავად ნადიმ ხმალაძის განმარტებით, 30 წლის განმავლობაში უამრავ აქციაზეა ნამყოფი და არავინ მოიძებნება, ვინც დაადასტურებდა, რომ მას ოდესმე შეურაცხყოფა მიუყენებია პოლიციისათვის. მისი განცხადებით, შსს-ს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ფაქტები არ შეესაბამებოდა სიმართლეს.[89]

საქმეზე დაიკითხა პოლიციის თანამშრომელი, რომელიც აცხადებდა, რომ ნადიმ ხმალაძე მან დააკავა. მას ადვოკატებმა ჰკითხეს, ზუსტად სად და რომელ საათზე მოხდა დაკავება და სად გადაიყვანეს ნადიმ ხმალაძე დაკავების შემდეგ. მოწმემ დაკავების ვერც ზუსტი ადგილი და ვერც დრო დაასახელა. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ ნადიმ ხმალაძე გადაიყვანეს აღმაშენებლის 113 ნომერში მდებარე პოლიციის განყოფილებაში.[90] ადვოკატებმა ამასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ მოწმე საერთოდ არ მონაწილეობდა ნადიმ ხმალაძის დაკავების პროცესში, რის

[86] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნადიმ ხმალაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 21.01.2023.
[87] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნადიმ ხმალაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 27.03.2023.
[88] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნადიმ ხმალაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 27.03.2023.
[89] იქვე.
[90] იქვე.

გამოც დააყენეს შუამდგომლობა, მომხდარიყო სატელეფონო ანძის დეტალური ამონაწერის წარდგენა სასამართლოში და ასევე, იმ განყოფილებიდან ვიდეო–სათვალთვალო კამერების ამონაწერის წარდგენა, რომელშიც ბრალდებული გადაიყვანეს. მოსამართლემ განაცხადა, რომ ეს ფაქტები არ იყო საქმესთან შემხებლობაში, ვინაიდან მხარე დაკავების კანონიერებას ხდიდა სადავოდ, რაც ამ სხდომაზე არ განიხილებოდა. შესაბამისად, სასამართლომ უარი განაცხადა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.[91]

2023 წლის 8 მაისს სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ნადიმ ხმალაძე ცნო სამართალდამრღვევად და ჯარიმის სახით დააკისრა 2000 ლარის გადახდა.

30. კოკა კობალაძის საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა პოლიტიკური პარტია – „საქართველოსთვის“ წევრის, კოკა კობალაძის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტრო მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173–ე (დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2023 წლის 7–8 მარტს თბილისში რუსთაველის გამზირზე იმართებოდა საპროტესტო აქცია. აქციაზე შეკრებილი მოქალაქეები საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას აპროტესტებდნენ. ადგილზე მობილიზებული იყო შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფი. 8 მარტს ღამით სამართალდამცავებმა დაიწყეს აქციის დაშლა. ამ დროს თავისუფლების მოედნის მიმდებარედ აქციის ერთ–ერთ მონაწილე დაკავების დროს წაიქცა. კოკა კობალაძე ამ ფაქტის დანახვისთანავე გაემართა აქციის მონაწილის დასახმარებლად, რაც პოლიციელების მხრიდან შეფასდა როგორც დაკავების პროცესში ხელის შეშლად, რის საფუძველზეც კოკა კობალაძე დააკავეს.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა. ერთ შემთხვევაში, სასამართლოს შუამდგომლობით, გადაიდო საქმის განხილვა, რადგანაც მოსამართლის განმარტებით, საქმის მასალები მას მხოლოდ იმ დღეს გადაეგზავნა და მასალების გასაცნობად სასამართლოს დრო დასჭირდებოდა. მეორე შემთხვევაში კი საქმის განხილვა მხარის შუამდგომლობით გადაიდო.

2023 წლის 8 მაისს, სხდომა გაიხსნა მხარეთა ახსნა-განმარტების ეტაპით. შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, 2023 წლის 9 მარტს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე კოკა კობალაძემ დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და იგინებოდა პოლიციის მისამართით, რაზედაც რეაგირება მოახდინა პოლიციის თანამშრომელმა. ის, ასევე, ხელს უშლიდა პოლიციელს სხვა პირის დაკავებაში, რაც გახდა მისი ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძველი. დაცვის მხარის პოზიციით კი, კოკა კობალაძეს არ დაურღვევია საზოგადოებრივი

[91] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნადიმ ხმალაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 27.03.2023.

წესრიგი, რის დასადასტურებლადაც სასამართლოში წარმოადგინეს ვიდეომტკიცებულება. თავად კოკა კობალაძის თქმით, მას არ დაურღვევია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. ის თავისუფლების მეტროსთან დააკავეს, სადაც აქცია არ იმართებოდა, მაგრამ პოლიცია იქ მყოფ ხალხს არ უშვებდა პარლამენტისკენ. მისი განმარტებით, კადრში ჩანდა, რომ მშვიდობიან მოქალაქეს 6 პოლიციელი ფიზიკურად გაუსწორდა. მოქალაქე კი ითხოვდა შველას. ამ ფაქტზე მან ინსტინქტურად მიიხედა, რა დროსაც პოლიციამ ის გადაიყვანა გვერდით, ტროტუარზე. ამის შემდეგ მასთან მივიდა ორი პოლიციელი და უთხრეს, რომ დაკავებული იყო და რომ დაკავების საფუძველს განყოფილებაში განუმარტავდნენ.[92]

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

31. ნატა ფერაძის საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა სამოქალაქო აქტივისტის, ნატა ფერაძის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ფერაძეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე (დაუმორჩილებლობა) მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებოდა. მოსამართლე ირაკლი ჩიკაშუამ 2023 წლის 30 მაისს მიღებული გადაწყვეტილებით ნატა ფერაძე სამართალდამრღვევად ცნო და სასჯელის სახით დააკისრა 2000-ლარიანი ჯარიმის გადახდა საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა.

2023 წლის 22 მაისს, ახსნა-განმარტების ეტაპზე, შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნატა ფერაძემ უარი განაცხადა პოლიციის კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე, გადასულიყო გზის სავალი ნაწილიდან და პოლიციის ერთ–ერთ თანამშრომელს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მისი ეს ქმედება, პოლიციის მხრიდან შეფასდა ასკ-ს 173–ე მუხლის დარღვევად (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა). ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის თქმით, ამ ფაქტს ადასტურებდა თავად პოლიციელი და სასამართლოში წარმოდგენილი ვიდეომტკიცებულება.[93]

ნატა ფერაძემ თავის შესავალ სიტყვაში განმარტა, რომ ის და სხვა აქტივისტები იყვნენ არა უშუალოდ აეროპორტში, არამედ მის პარკინგზე, რომელიც სულ მცირე, 20 მეტრის მოშორებით მდებარეობს აეროპორტიდან. მათ ეჭირათ ბანერები და მშვიდობიანად გამოხატავდნენ პროტესტს. ნატა ფერაძის განცხადებით, მისი დაკავების შემდეგ ის გადაიყვანეს ისნის რაიონულ განყოფილებში, სადაც მას დამცინავად და აგდებულად ესაუბრებოდნენ სამართალდამცავები და მხოლოდ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მისცეს საპირფარეშოთი სარგებლობის და წყლის დალევის შესაძლებლობა. ადვოკატის განმარტებით, ნატა ფერაძე იმყოფებოდა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ მას სამართალდამცავებისათვის არ მიუყენებია

[92] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში კოკა კობალაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 08.05.2023.

[93] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნატა ფერაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 22.05.2023.

შეურაცხყოფა, თავად ადმინისტრაციულ ორგანოს კი ამის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.[94]

ამავე სხდომაზე, მხარეებმა წარმოთქვეს დასკვნითი სიტყვები. დაცვის მხარემ ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების დაბალ სტანდარტზე. კერძოდ, შსს-მ წარმოადგინა ვიდეოჩანაწერი, სადაც ისმის ნატა ფერაძის ხმა, რომელიც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს სამართალდამცავს. თუმცა, ეს რამდენიმეწამიანი ვიდეომასალა არ იძლევა თარიღის, ადგილისა და დროის განსაზღვრის შესაძლებლობას.

32. შუშანა **მაცაბერიძისა** *და თამარ ხუნდაძის საქმე*

2023 წლის 19 მაისს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ გამართულ აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „დროას“ წევრები - შუშანა მაცაბერიძე და თამარ ხუნდაძე. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირებს ედავებიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) პირველი ნაწილის დარღვევას.

საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ირაკლი ჩიკაშუა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში საქმეზე ჩატარდა 1 სასამართლო სხდომა.

2023 წლის 24 მაისს სასამართლო სხდომაზე მხარეებმა თქვეს ახსნა-განმარტება, შეკითხვები დაუსვეს ერთმანეთს და გამოიკვლიეს მტკიცებულებები. წარმომადგენლის განმარტებით, შუშანა მაცაბერიძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელებს, რომლებიც ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. ის არ წყვეტდა ამ ქმედებას პოლიციელის არაერთი კანონიერი მოთხოვნის მიუხედავად, რაც გახდა მისი დაკავების საფუძველი. რაც შეეხება თამარ ხუნდაძეს, შსს-ს წარმომადგენლის თქმით, მან პოლიციის თანამშრომლებს ხელი შეუშალა მაშინ, როდესაც ისინი აქციაზე აკავებდნენ ლევან თარხნიშვილს. პოლიცია ცდილობდა თამარ ხუნდაძე განერიდებინათ სიტუაციიდან, მაგრამ ის მათ უძალიანდებოდა, რაც გახდა მისი დაკავების საფუძველი.[95]

ადვოკატის განმარტებით, შუშანა მაცაბერიძესა და თამარ ხუნდაძეს არ დაურღვევიათ კანონი, ისინი არიან პოლიტიკოსები და სარგებლობენ გამოხატვის ფართო თავისუფლებით. ამასთან, ისინი იმყოფებოდნენ პარკინგზე, რომელიც 20 მეტრით არის დაშორებული აეროპორტიდან. ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა დაკავების ოქმზეც, რომელშიც არ ეწერა, რა შეურაცხმყოფელი სიტყვით მიმართა მაცაბერიძემ პოლიციის თანამშრომელს. ამასთან, დაცვის მხარის შეფასებით, ადმინისტრაციულ საქმეებზე ტენდენციურად არ ცხადდებიან უშუალოდ დამკავებელი პოლიციელები, როგორც ეს მოხდა განსახილველ საქმეში. მაგალითად, ამავე

[94] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნატა ფერაძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 22.05.2023.

[95] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში შუშანა მაცაბერიძისა და თამარ ხუნდაძის საქმეზე: 24.05.2023.

სხდომაზე დაიკითხა ერთ-ერთი პატრულ-ინსპექტორი, რომელმაც ჩვენებაში აღნიშნა, რომ აქციის მონაწილეებმა მას მიაყენებს შეურაცხყოფა, კერძოდ, - მას უწოდეს „პუტინის მონა“. ის უშუალოდ ხედავდა შუშანა მაცაბერიძეს, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა მის მეწყვილეს. ამავე მოწმემ არასწორად მიუთითა დაკავების ადგილი. თავად მაცაბერიძემ პროცესზე განაცხადა, რომ არ ახსოვდა, ეს მოწმე იმყოფებოდა თუ არა აქციაზე.[96]

ამავე პროცესზე დაიკითხა დაცვის მოწმე, რომელმაც დაადასტურა, რომ არ გაუგია, შუშანა მაცაბერიძეს პოლიციის მისამართით ეთქვას სიტყვა „მონა“.[97]

საპაექრო სიტყვაში დაცვის მხარის ადვოკატმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თამარ ხუნდაძესთან დაკავშირებითაც სასამართლოს არასწორი ჩვენება მისცა ადმინისტრაციული ორგანოს მოწმემ, რომელიც საერთოდ არ იმყოფებოდა აქციაზე დაკავების დროს. ამასთან, პოლიციელებს თამარ ხუნდაძე შებოჭილი ჰყავდათ კისერში და ექაჩებოდნენ თმაზე, რითაც პოლიციამ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას. შედეგად, დაკავებულს დაუზიანდა ჯანმრთელობა, რასაც ადასტურებს სამედიცინო ცნობა. ამასთან, შუშანა მაცაბერიძე და თამარ ხუნდაძე როდესაც იყენებდნენ სიტყვა - „მონას“, ისინი ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ სისტემას და არა უშუალოდ პოლიციელებს.[98]

2023 წლის 12 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა საქმის განხილვა. სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლომ შუშანა მაცაბერიძე და თამარ ხუნდაძე სასამართალდარღვევად ცნო. ამასთან, სასამართლომ შუშანა მაცაბერიძეს ადმინისტრაციული სახდელის სახით 2000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა, ხოლო თამარ ხუნდაძის მიმართ გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა.

4. ბრალდებულის უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე

საქართველოს კონსტიტუციით[99] და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით[100] განმტკიცებულია სამართლიანი პროცესის უფლება, რაც მათ შორის, მოიაზრებს ბრალდებულის უფლებას, მის მიმართ სწრაფად და დროულად განხორციელდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოება.[101] როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ისე საქმეთა სასამართლო განხილვის გაჭიანურების შემთხვევაში, საფრთხე ექმნება სამართლიანი სასამართლოს უფლების ჯეროვან რეალიზაციას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პირის ბრალდებულად ცნობას (თუ ის არ დაუკავებიათ) პირდაპირ უკავშირებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.[102] შესაბამისად, თუ პირს გონივრულ

[96] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში შუშანა მაცაბერიძისა და თამარ ხუნდაძის საქმეზე: 24.05.2023.
[97] იქვე.
[98] იქვე.
[99] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[100] იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი.
[101] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-8 მუხლის პირველი ნაწილი.
[102] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 167-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ვადაში არ მიენიჭება ბრალდებულის სტატუსი, ის ვერ ისარგებლებს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული დაცვის უფლებებით,[103] დამოუკიდებლად ან ადვოკატის მონაწილეობით ვერ შეაგროვებს მტკიცებულებებს,[104] ვერ მოითხოვს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და ვერ გამოითხოვოს მტკიცებულებას, რომლებიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად, მონაწილეობას ვერ მიიღებს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.[105] ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურების შემთხვევაში, შესაძლოა, ბრალდებულს არ მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის სტრატეგიის მოსამზადებლად, რამაც შესაძლებელია სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული ეს გარანტიები ხელყოს.[106]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ფარგლებში, ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე გამართულ სხდომებზე დაკვირვებისა და საქმესთან დაკავშირებული მასალების გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ ე. წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე,[107] ირაკლი ოქრუაშვილს საბრალდებო დადგენილება პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას, - 2019 წლის 19 ნოემბერს გადაეცა სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“[1] ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასების ანალიტიკურ დოკუმენტში მიუთითა, რომ „ეს გარემოება, გონივრული ვარაუდის ფარგლებში, აჩენდა ეჭვს, რომ საქართველოს პროკურატურის მიზანი იყო, ორივე საქმეზე რაც შეიძლება ნაკლები დროით გადაეფარა წინასწარი პატიმრობის ვადებს ერთმანეთი და მაქსიმალურად ხანგრძლივი დროით ყოფილიყო ბრალდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რაც, ამასთანავე, ხელისუფლების მხრიდან ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაინტერესებაზეც მიანიშნებს.“[108] აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე 2012 წლიდან მიმდინარეობდა განახლებული გამოძიება, ხოლო საბრალდებო დადგენილება მას 7 წლის შემდეგ, 2019 წელს გადაეცა. ეს მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, „ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ”. სწორედ, დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე იწყება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.[109]

---

[103] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანხმად, ,,ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის“.

[104] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი.

[105] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

[106] მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები, სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, ევროპის საბჭო, 2021, გვ. 37.

[107] დეტალურად იხ. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wafrr8, [29.05.2023].

[108] ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ.28, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wafrr8,[29.05.2023].

[109] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 167-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ზემოაღნიშნულ გარემოებების მხედველობაში მიღებით, ჩნდება ვარაუდი, რომ პროკურატურას შესაძლოა, შეგროვებული ჰქონოდა იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საკმარისია პირის ბრალდებულად ცნობისათვის და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. მიუხედავად ამისა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებით შეიქმნა საფრთხე დარღვეულიყო ბრალდებულის საპროცესო უფლებები.

ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის დროულ დაწყებას, ისევე როგორც საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულების უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისთვის. საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომაც, რომელიც მიიჩნევს, რომ „გონივრულმა, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება“.[110]

5. მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის გამოყენება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის გარანტიებს. ამ მუხლის თანახმად, მხარეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა მოიპოვონ და სასამართლოში წარადგინონ მტკიცებულებები. მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. სასამართლო კი ვალდებულია, მხარეებს შეუქმნას თანაბარი პირობები თავიანთი უფლებების და ინტერესების დასაცავად, რა დროსაც არც ერთ მათგანს არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა ან თუნდაც შექმნას ამგვარი განცდა ნეიტრალურ დამკვირვებელს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპი „ზღუდავს ბრალდების მხარისათვის დაუბალანსებელი პრივილეგიის მინიჭებას და ამ ფორმით საქმის გადაწყვეტაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის ხელოვნურად გაზრდას“.[111]

შეჯიბრებითი პროცესი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: 1. გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე არის ნეიტრალური და არბიტრის ფუნქციის შემსრულებელი, რომელიც ორგანიზებას უწევს, ზედამხედველობს, აკვირდება და აკონტროლებს სისხლის სამართლის

[110] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[111] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-74.

საქმის განხილვას; 2. მტკიცებულებების წარმოდგენა მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ. შესაბამისად, სასამართლოს ეკრძალება დამოუკიდებლად მტკიცებულებების წარმოდგენა და გამოკვლევა; 3. მხარეების მიერ სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა ხდება კანონის მოთხოვნების დაცვით, რა დროსაც, მაგალითად, მოწმეთა ჩვენების წარდგენა ხდება ზეპირი ფორმით, ორივე მხარეს შეუძლია მოწმეს დაუსვას შეკითხვები და სხვ.[112]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ,,შეჯიბრებითი სისტემა იძლევა მოქნილობის შესაძლებლობას"[113] და მოსამართლეებს აქვთ შესაბამისი პროცესუალური უფლებამოსილებები. ამ ნაწილში, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 მუხლის მე-3 წინადადება, რომლის თანახმად, „მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმების შედეგად, დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად". ეს ჩანაწერი საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი გახდა N1478 კონსტიტუციურ წარდგინების საფუძველზე.[114] ამ წარდგინების ავტორის პოზიციით, „სისხლის სამართლის საქმეს აფასებს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე, რომელიც ადგენს და აფასებს საქმის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს. მოსამართლეს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, მხარეთა თანხმობისგან დამოუკიდებლად დასვას დამაზუსტებელი კითხვები, რომლებიც აუცილებელია ბუნდოვანების გასაფანტად, კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად და რომელიც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის აუცილებლობითაა განპირობებული".[115] ამ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ზემოაღნიშნული მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავს საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობას. სასამართლოს შეფასებით, „სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენის ინტერესი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხარეთა სურვილზე ან კომპეტენციაზე".[116] შესაბამისად, „სამართლიანი და ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიას ინდივიდუალური მოსამართლე ქმნის, შესაბამისად, მოსამართლეს მონაწილეობა უნდა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში".[117] ამასთან, „სასამართლოს პასიურობამ და ხელოვნურმა ბოჭვამ შესაძლოა, გამოიწვიოს უსამართლობა – უდანაშაულო პირის მსჯავრდება ან დამნაშავე პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება".[118] გარდა ამისა, მოსამართლის ჩართულობამ „ხელი არ უნდა შეუშალოს მხარეების მიერ მტკიცებულების სათანადოდ გამოკვლევასა და მეორე მხარის მტკიცებულებათა გაბათილებას. [...] მისი ფუნქცია მდგომარეობს სასამართლო სხდომაზე წარდგენილი

---

[112] *ჰერბერტ დ., ჩხაიძე გ., ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის*, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბ., 2014, გვ. 20.

[113] იქვე.

[114] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე".

[115] იქვე, I-9.

[116] იქვე, II-40.

[117] იქვე.

[118] იქვე.

მტკიცებულებების გამოკვლევაში, სიცხადის წახალისებაში და არა ახალი მტკიცებულების შექმნაში“.[119]

ამგვარად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების თანახმად, მოსამართლეს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში, დაუსვას მოწმეებს შეკითხვები და ჩაერთოს მოწმის პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვის პროცესში. ამასთან, მოსამართლემ მოწმისათვის ,,კითხვის დასმის უფლებამოსილება უნდა განახორციელოს გონივრული სამოსამართლო თვითშეზღუდვის პირობებში“,[120] კერძოდ კი, „მოწმის პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვის პროცესში საკუთარი მონაწილეობით, ხელი არ შეუშალოს მხარეების მიერ მტკიცებულების სათანადოდ გამოკვლევასა და მეორე მხარის მტკიცებულებათა გაბათილებას“.[121] ამასთან, „მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობამ არ უნდა შექმნას სასამართლოს მიკერძოებულობის განცდა. მან არ უნდა შეითავსოს მხარის ფუნქცია“.[122]

სასამართლო მონიტორინგის შედეგად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გამოიკვეთა, რომ ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმეში, მოსამართლე აქტიურად იყო ჩართული მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს ეჭვი შეჰქონდა კონკრეტული მოწმის მიერ მიცემული ჩვენების სანდოობაში, ისევე, როგორც ზოგიერთი მტკიცებულებების სისწორეში. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ მოწმის ჩვენების სანდოობა ბრალდების მხარეს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ მოწმის ჩვენება შეიცავდა რიგ უზუსტობებს.[123]

როგორც აღინიშნა, მოწმის ჩვენების შინაარსის სათანადოდ აღსაქმელად, მოსამართლე უფლებამოსილია დასვას შეკითხვები. თუმცა, ამ დროს, მან უნდა დაიცვას შესაბამისი მოთხოვნები, კერძოდ - კითხვის დასმა საქმის სრულყოფილად გამოკვლევას და სამართლიანი განხილვის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, და ამან ,,არ უნდა ხელყოს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ან/და სასამართლოს მიუკერძოებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნები“.[124]

ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოსამართლის მხრიდან მხარეებისგან შესაბამისი ნებართვის აღების გარეშე მოწმისათვის კითხვის დასმა აღარ წარმოადგენს სასამართლო პროცესის

---

[119] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე "თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუცი.ური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-42.

[120] იქვე.

[121] იქვე.

[122] იქვე, II-43.

[123] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 12.10.2022.

[124] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე "თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუცი.ური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-44.

შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას. ამის მიუხედავად, მხარეთა საპროცესო უფლებების დასაცავად, მნიშვნელოვანია სასამართლოებმა მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში თავიანთი უფლებამოსილება გამოიყენონ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული სტანდარტისა და ,,სამოსამართლო თვითშეზღუდვის ფარგლებში".

6. სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა სამოქალაქო საქმეების განხილვის ვადის დაცვასთან დაკავშირებით

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი ნაწილია საქმის გონივრულ ვადაში განხილვა. ამ კომპონენტის ფარგლების განსაზღვრისთვის, გასათვალისწინებელია, მათ შორის, საქმის კომპლექსურობა და სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი უწყებების ქმედებები, განმცხადებლის ინტერესი დავის საგნის მიმართ.[125] საქმის გონივრულ ვადაში განხილვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსათვის, რაც „სამართლიანი სასამართლოს უფლების - ხელყოფის რისკებს წარმოშობს".[126] ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, იმ გარემოებაზე მითითება, რომ სასამართლო სისტემა გადატვირთულია საქმეებით, ვერ გაამართლებს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას.[127] „სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს სასამართლო სისტემის ორგანიზება ისე, რომ თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს საკუთარი სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების „გონივრულ ვადაში" დაცვა".[128]

ამრიგად, საქმეთა სიმრავლის პირობებშიც კი, სასამართლოში საქმის განხილვა იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული - საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება.

საანგარიშო პერიოდში, სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ „კახა კალაძე ჟურნალისტ მაია მამულაშვილის და TV „პირველის" წინააღმდეგ" და ,,GMI Rights Management ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ" საქმეთა განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით წარიმართა.[129] ეს იმ ფონზე, როდესაც სამოქალაქო საქმეების განხილვის გაჭიანურება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ქართული მართლმსაჯულებისათვის, სადაც სამოქალაქო საქმეებზე, წლების მანძილზე მიმდინარეობს სამართალწარმოება. ცხადია, სასამართლოს მხრიდან ამ საქმეების დადგენილ ვადებში

[125] *Mikulić v. Croatia*, no. 53176/99, § 38, 04/09/2002.
[126] საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში - 2015-2018 წლების პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2019 წლი 8 მაისი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/cdv3c [22.05.2023].
[127] *Kharitonashvili v. Georgia*, no. 41957/04, § 44, 10/05/2009. იხ. ასევე, *G.H. v. Austria*, no. 31266/96, § 20, 03/01/2001.
[128] იქვე.
[129] იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

განხილვა და გადაწყვეტა მისასალმებელია, მაგრამ საინტერესოა, სასამართლოს ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება რა გარემოებებით იყო გამოწვეული. სხვაგვარად, გამართლებული იყო თუ არა, სასამართლოს განსხვავებული მიდგომა.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, სხვა ამავე კატეგორიის საქმეებისგან განსხვავებით, ,,კახა კალაძე ჟურნალისტ მაია მამულაშვილის და ტვ „პირველის“ წინააღმდეგ“ და „GMI Rights Management ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ“ საქმეთა საპროცესო ვადების დაცვით განხილვისას, საზოგადოებას შესაძლოა, გაუჩნდეს წარმოდგენა, რომ სასამართლოს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვასთან დაკავშირებით. საზოგადოების მსგავსმა წარმოდგენებმა კი შესაძლოა დააზიანოს სასამართლოს ავტორიტეტი, სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირება. ასეთი წარმოდგენები აუფერულებს კანონის უზენაესობის პრინციპის რეალურ დაცვას, რადგანაც საზოგადოებას გააჩნია ინტერესი, რომ სასამართლოების მიერ უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო დავების ჯეროვნად განხილვა, რომელიც მათ შორის, მოიაზრებს საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის ინტერესს, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგით შეიძლება დასრულდეს ამა თუ იმ საქმის განხილვა.[130] შესაბამისად, სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყველა საქმეში დაიცვას საქმის გონივრულ ვადაში განხილვის პრინციპი და ამ მხრივ, არ დაუშვას რომელიმე საქმისათვის გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი უპირატესობის მინიჭება. სასამართლოს ყველა მსგავსმა ქცევამ შესაძლოა, დააზიანოს სასამართლო ავტორიტეტი და განაპირობოს საზოგადოების უნდობლობა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა თუ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

7. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 32 საქმის სასამართლო მონიტორინგის შედეგების ამსახველმა ამ ანგარიშმა მოიცვა სამართლიანი სასამართლოს უფლების ის პრობლემური საკითხები, რომლებიც მონიტორებისა და ანალიტიკოსის მიერ არის იდენტიფიცირებული მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში. ანგარიშში გაანალიზებულია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეებში იდენტიფიცირებული პროცესუალური თუ ფაქტობრივი ხასიათის ხარვეზები და ისინი შეფასებულია საერთაშორისო სტანდარტებთან.

სასამართლოს პროცესების მონიტორინგისა და უშუალოდ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასების შედეგად, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, წელსაც გამოვლინდა სასამართლო მართლმსაჯულებაში არსებული ხარვეზები. მათ შორისაა: სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული

[130] გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის და სასამართლო პროცესში მოსამართლის როლის შესახებ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გათვალისწინებით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა N6, 2004, გვ. 19.

ვადების დაცვასთან დაკავშირებით, სასამართლო სხდომის დარბაზის ტექნიკური გაუმართაობა, სხდომების დაგვიანებით დაწყებისა და გადადების შემთხვევები. აგრეთვე, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა მსჯავრდებულის/ბრალდებულის ჯანმრთელობის უფლების სათანადოდ დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილად რეალიზებასთან და ბრალდებულის სწრაფი მართლმსაჯულების უფლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და სხვ. ამასთან, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებითა და სასამართლოს მიერ საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის პრინციპის დარღვევით, საზოგადოების შესაძლოა უნდობლობა გაუჩნდეს საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს სისტემის მიმართ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებზე მნიშვნელოვანი გამოწვევებია: სხდომათა საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფა, სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაციის სათანადო წესით გავრცელება, პირის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოთა მოთხოვნის შაბლონურობა და დაუსაბუთებლობა; ხშირ შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნები არ ეფუძნება ობიექტურ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

გარდა ამისა, პრობლემურია ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე საჯაროდ საუბრობენ კონკრეტული პირების ბრალეულობაზე. ამ ქმედებით ირღვევა როგორც უდანაშაულობის პრეზუმფცია, ისე საფრთხე ექმნება პროკურატურისა და სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული.

8. რეკომენდაციები

სასამართლო ხელისუფლებას:

- სამოსამართლო ქცევის წესების გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს საზოგადოების ნდობის ამაღლებას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ;
- სისხლის სამართლის საქმეებში მოსამართლეებმა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისას, გაითვალისწინონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, ეს უფლებამოსილება განახორციელოს „სამოსამართლო თვითშეზღუდვის პირობებში“, არ შეითავსონ მხარის ფუნქცია და ობიექტური დამკვირვებლის თვალში არ შექმნან სასამართლოს მიკერძოებულობის განცდა;
- უზრუნველყოს საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვა და გამორიცხოს მიკერძოებასთან თუ შერჩევით სამართალთან დაკავშირებული შესაძლო ეჭვები;
- სხდომის საჯაროობის პრინციპის განუხრელი დაცვის უზრუნველსაყოფად, ვებგვერდზე პროაქტიულად განაახლოს ინფორმაცია სასამართლო სხდომების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ;

- უზრუნველყოს სხდომის დარბაზის ტექნიკური გამართულობა, რათა მხარეებსა და სასამართლოს ხელი არ შეეშალოთ ვიდეომტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევაში;
- მოსამართლეებმა უზრუნველყონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სრული, ყოველმხრივი, ობიექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი განხილვა;
- მოსამართლეებმა ადმინისტრაციულ საქმეებში უზრუნველყონ მტკიცების ტვირთის კანონის შესაბამისად გადანაწილება და არ მიანიჭონ უპირატესობა რომელიმე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს მათი გამოკვლევის გარეშე.

პროკურატურას:

- არ დაუშვას, რომ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებით საფრთხე შეექმნას ბრალდებულის საპროცესო უფლებებით სრულყოფილად სარგებლობას;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას პროკურატურის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- ხელი შეუწყოს სასამართლოს სისტემისა და ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდას.